ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

შაბათი – კვირა, 11 – 12 მაისი, 2019

№110 (8064)

ფასი: 60 თეთრი

**საქართველოს მოქალაქეების მიერ საფრანგეთში ჩადენილი დანაშაულის გამოძიებაში ორი ქართველი ოფიცერი ჩაერთვება**




გვ.7



**ნათია მეზვრიშვილი: „ცივ იარაღს არასრულწლოვანები ვეღარ იყიდიან“**

გვ.7

**10 მაისიდან**

ლევ ტოლსტოი

**ომი და მშვიდობა**

ტომი IV

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი




# ლაშა ჩხარტიშვილი: „ოცნებას“ და ალიევს გარეჯთან დაკავშირებული გარიგება ჩავუშალეთ“




გვ.2

## „ივანიშვილი საქართველოს ბორდელად გადაქცევას აპირებს“





## მექა ხანგოშვილი: „წარმოუდგენელია, მალხაზ მაჩალიკაშვილს სასაფლაოზე ტერაქტი დაეგეგმა“

„ეს არის გამწარებული ადამიანის საუბარი, რომელიც სამართალს ვერ პოულობს“

გვ.4

## მამუკა ბახტაძემ გიორგი ქობულიას ფეხი მოუქნია

რა სკანდალური ინფორმაციების გამხელას აპირებს ყოფილი მინისტრი





გვ.3

## „ლარის გაუფასურება ეროვნული ბანკის ბრალია“



გვ.6

რომან გოცირიძე: „ქობულია არის ერთადერთი მინისტრი, რომელიც გააგდეს“

## მირიან მირიანაშვილი: „რუსული პოლიტიკური თამაშების ხანა მთავრდება“

„რეგიონში სრულმასშტაბიანი ძვრებია“



გვ.5

**სამართალი** გვ.7

## როენა ხუცურაული გამოუშვეს



## ხაშურში ვ.ბ. ცოლის მკვლელობისთვის დააკავეს






## სენაკის სკოლაში 18 ბავშვი მოიწამლა

მოზარდები საავადმყოფოში გადაიყვანეს

**ეკონომიკა** გვ.6



## „ხრუშჩოვკების“ ჩანაცვლებაზე „ვარკეთილი დეველოპმენთმა“ გაიმარჯვა

**მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის ახალი პროექტი „ვაზისუბნის მამული“ გურჯაანში სექტემბერში დასრულდება**



## საპენსიო შენატანებს 1.2 მლნ-ზე მეტი სარგებელი დაერიცხა



ISSN 1987-9385
9 771987 938006

**5** რევაზ არველაძე: „ელექტროენერგია უფრო მეტი შემოგვაქვს, ვიდრე გაგვაქვს“

**3** ღვთისმშობლის წილხვდომილობის დღესასწაულთან დაკავშირებით მთავრობა 694.600 ლარს დახარჯავს

**4** ტექინსპექტირების 3 ცენტრში გაუმართავ ავტობუსებზე ყალბ დასკვნებს გასცემდნენ, დააკავეს 4 პირი

**3** ინფექციური დაავადებების გავრცელების მთავარი წყარო სტომატოლოგიური კლინიკებია

# ლაშა ჩხარტიშვილი: „ოცნებას“ და ალიევს გარეჯთან დაკავშირებული გარიგება ჩავუშალეთ“

## „ივანიშვილი საქართველოს ბორდელად გადაქცევას აპირებს“

შორენა მარსაგიშვილმა



ვინ შთააგონა „გირჩი“, რომ პარტიულ ოფისში ბორდელი გაეხსნა, რაში სჯობია ივანიშვილი ეშმაკს, რა გარიგება იყო დადებული ალიევთან, რომელიც ხალხმა ჩაშალა? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი **ლაშა ჩხარტიშვილი** ესაუბრება.

***– თითქმის ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებს არჩევნების წინ განსაკუთრებული სიმძაფრით ახსენდებათ ეკლესია. ამ დღეებში ივანიშვილმა აწყურის ტაძარი მოინახულა და მის აღსადგენად 13 მილიონის გამოყოფის პირობა დადო.***

– იმას, რასაც ივანიშვილი ეკლესიასთან და ზვიად გამსახურდიასთან მიმართებაში აკეთებს, არის ფარისევლობა. მთელი ცხოვრება ეკლესიას და გამსახურდიას ებრძოდა, მაგრამ არჩევნები როცა ახლოვდება, მათი მთავარი გულშემატკივარი ხდება. ყოველი არჩევნების წინ ოლიგარქს ფარისევლური ქველმოქმედება შეიპყრობს ხოლმე.

საბედნიეროდ, საქართველოში ძალიან ცოტა დარჩნენ ისეთი ადამიანები, ვისაც მისი ქველმოქმედების სჯერა. ივანიშვილი დანებებას არ აპირებს და ყველა ხერხს იყენებს საიმისოდ, რომ ამომრჩევლის გულები და ეკლესიის ნაწილი მაინც მოისყიდოს მე იმედი მაქვს, რომ მისი იაფფასიანი ტრიუკები აღარ გაჭრის.

***– რატომ გგონიათ, რომ ეს ტრიუკი აღარ გაჭრის?***

– ეს ადამიანი გვიმტკიცებს, რომ ეკლესიების აღდგენით არის დაკავებული. დღეისათვის საქართველოში უამრავი ტაძარია სავალალო მდგომარეობაში. განადგურების პირასაა უძველესი ფრესკები. ივანიშვილს მათი აღდგენის სურვილი არ გამოუხატავს.

რა ძეგლების აღდგენაზეა საუბარი, როცა ეს ადამიანი უამრავ ისეთ პროექტს აფინანსებს, რომლებიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს აზიანებს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მან საყდრისი აგვიფეთქა.

ვარძიის კომპლექსის წინ ერთი წელი მიდიოდა გაურკვეველი ობიექტის მშენებლობა. მერე გავარკვიეთ, რომ თურმე სასტუმროს აშენებდა. სახელმწიფო ამაზე საერთოდ არ რეაგირებდა. მშენებლობის შეჩერება სამოქალაქო აქტივისტების პროტესტის შედეგად მოხდა. ამისთვის მათ დიდი მადლობა.

როგორ დავიჯერო ივანიშვილის რელიგიურობა, როცა მისმა ხელისუფლებამ ქართულ ეკლესიას არნახული ზიანი მიაყენა. ციანიდის სკანდალში რომ „ოცნების“ ხელი ურევია, ამაში ეჭვი არავის ეპარება.

საბედნიეროდ, ჩვენს ეკლესიაში მრავლად არიან ისეთი სასულიერო პირები, რომლებიც არც ნაციონალებს უკმევდნენ გუნდრუკს და არც ივანიშვილს უკმევენ. სამწუხაროდ, ისეთი სასულიერო პირებიც გვყავანან, რომლებიც მატერიალური სიკეთეების გამო ხელისუფლებებთან თანამშრომლობენ. მარტო თანამშრომლობას ვინ ჩივის, ზოგიერთი მათგანი პირდაპირ ხელისუფლების პროპაგანდით არის დაკავებული.

ივანიშვილი მორალის და ათეიზმის ჩარჩოებიდან არის გამოსული. მისთვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს ყველას და ყველაფრის გამოყენება. მისთვის მთავარი მიზნის მიღწევაა.

მისმა პარლამენტმა 2012 წელს 200-მდე ადამიანი გამოაცხადა პოლიტპატიმრად. რამდენიმე წელიწადში ის მოსამართლეებიც, ვინც ეს პოლიტპატიმრები ციხეში გაუშვა, უვადოდ გაამწესა და ახლა უნდა, რომ ისინი უზენაეს სასამართლოში შეიყვანოს.

„ქართული ოცნება“ ისეთივე ამორალური გახდა, როგორც მისი წინამორბედი იყო. ტყუილ დაპირებებში ივანიშვილმა სააკაშვილს ბევრად გაასწრო.

***– ამბობენ, ივანიშვილი მოტყუებაში მესიზე მაგარიაო.***

– მესისთან მისი შედარება არ მინდა, მაგრამ ოლიგარქი თავისი ტყუილებით ეშმაკსაც კი გააოცებს. ეს უტრირება არ არის. ამ ადამიანმა რამდენი ტყუილიც იკადრა, მსოფლიო პოლიტიკას არ ახსოვს.




***– მსოფლიო პოლიტიკას მარტო ივანიშვილის ტყუილებით არ ვაოცებთ. 10 მაისს „გირჩმა“ თავის პარტიულ ოფისში საროსკიპო გახსნა. ეს რაღა უბედურება და დოზანაა?***

– აშკარაა, რომ „გირჩი“ ივანიშვილის ერთ-ერთი ფავორიტია. ესენი ძალიან ჰგვანან ერთმანეთს. ივანიშვილს რომ ლოკალური მიზნები ჰქონდეს, დიდი სიამოვნებით გახდებოდა ამ პარტიის ლიდერიც.

***– რატომ გგონიათ, რომ „გირჩი“ „ოცნების“ ლიდერის ფავორიტია?***

– იმიტომ, რომ მათი იდეები ძალიან ხშირად ემთხვევა ერთმანეთს. ივანიშვილი გვევლინება ერთგვარ რვაფეხად, რომელიც ძალიან ბევრ პარტიასთან არის ფარულად დაკავშირებული. ამ ცუდ ადამიანთან შედარებისთვის რვაფეხებს ბოდიშს ვუხდი, მაგრამ რეალობა ასეთია.

ახლა იმასაც მოგახსენებთ, თუ რატომ არის „გირჩი“ ივანიშვილის ფავორიტი. მარიხუანის ლეგალიზების მოთხოვნით პირველი „გირჩი“ გამოვიდა. ცოტა ხანში, ივანიშვილის დავალებით, „ქართულმა ოცნებამ“ პარლამენტში შეიტანა კანონპროექტი კანაფის კულტივაციის შესახებ. კიდევ კარგი, ერთობლივი ბრძოლის შედეგად, ოლიგარქს ეს კანონი უკან გავატანინეთ.

„გირჩმა“ ახლა პროსტიტუციის ლეგალიზების აუცილებლობაზე დაიწყო საუბარი. არ გამოვრიცხავ, რომ ამის უკანაც ივანიშვილი იდგეს. შეიძლება მას უნდა, რომ საქართველო გახდეს ქვეყანა, სადაც ნარკომანია და პროსტიტუცია ლეგალიზებული იქნება.

ასეთი ქვეყნები მსოფლიოში სულ რამდენიმეა. ივანიშვილი ფულის გულისთვის ასეთ რამეზე უარს არ იტყვის.

„გირჩი“ და ზურაბ ჯაფარიძე „ქართული ოცნების“ გროტესკულ ფორმას წარმოადგენენ. ისინი უფრო კრეატიულად ასრულებენ ოლიგარქის ოცნებებს. საფუძვლიანი ეჭვი მაქვს, რომ ეს პარტია ივანიშვილის დავალებებს ასრულებს და „ოცნება“ მათი დახმარებით უსინჯავს ნიადაგს ამა თუ იმ იდეას.

არ გამიკვირდება თუ გავიგებ, რომ ივანიშვილს სურს, საქართველო გადააქციოს ბატისტეს დროინდელ კუბად. მაშინ კუბა სექსტურიზმის ცენტრად იყო ქცეული. აქაც შეიძლება იგივე გაკეთდეს,

კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ეს ადამიანი ფულის გამო ყველაფერს იკადრებს. მისი გულწრფელობა ისეთივე დასაჯერებელია, როგორც ეშმაკის მოქცევა.

***– გულწრფელობით არც სხვა პოლიტიკოსები არ გამოირჩევიან. მაგიტომაც არის, რომ ხალხს აღარც პოზიციის სჯერა და არც ოპოზიციის.***

– ამ საყოველთაო უნდობლობით ისევ ივანიშვილი ისარგებლებს. ის ცდილობს, რომ ყველა პოლიტიკოსი მასთან იყოს გაიგივებული. ის გვიმტკიცებს, რომ ყველა პოლიტიკოსი მას ან მიხეილ სააკაშვილს ჰგავს. აქედან გამომდინარე ხალხი ფიქრობს, რომ არჩევანის გაკეთებას აზრი არ აქვს. მიმდინარეობს საყოველთაო უნდობლობის და უიმედობის დათესვა.

მინდა, ჩვენი მოსახლეობა მიხვდეს, რომ ხელების ჩამოშვება დაუშვებელია და საჭიროა უკეთესი ცხოვრებისთვის ბრძოლა. ბრძოლას კი ყოველთვის აქვს აზრი. ეს დავით გარეჯის მაგალითმაც კარგად აჩვენა. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი წარმატება უკვე სახეზეა.

***– ამის თქმა მარტო გარეჯის მაგალითზე არ შეიძლება. რამდენიმე დღის წინ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში ლივერპულმა თქვენი საყვარელი ბარსელონა მიაქამბექა, რომელსაც წინა თამაში 3:0 ჰქონდა მოგებული.***

– ბარსელონაზე მოდით არ ვისაუბრებ და ისევ დავით გარეჯის მაგალითს გავიხსენებ. ჩვენმა ბრძოლამ ის შედეგი გამოიღო, რომ ჩიჩხიტურის მონახულების უფლებაც კი მოგვცეს, სადაც აზერბაიჯანელი მესაზღვრეები 2005 წლიდან აღარ უშვებდნენ ქართველებს.

მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით ყველას მადლობა გადავუხადო, ვინც დავით გარეჯის დასაცავად იბრძოდა. ეს ხალხი რომ არა, ივანიშვილი და ალიევი დავით გარეჯთან დაკავშირებით საბოლოო შეთანხმებას გააფორმებდნენ.

***– რა შეთანხმებაზეა საუბარი?***

– არაა გამორიცხული, რომ იგეგმებოდა გარეჯის მეზობელი სახელმწიფოსთვის გადაცემა. ის, რაც აქ აპრილში მოხდა, იყო ერთგვარი ნიადაგის მოსინჯვა. ალიევმა და ივანიშვილმა ქართველი ხალხის განწყობა შეამოწმეს – დროებით ჩაკეტეს საზღვარი და დაელოდნენ, რა რეაქცია ექნებოდა ხალხს ოკუპაციის ახალ ტალღაზე.

ამაზე საქართველოს მოსახლეობას მკვეთრად უარყოფითი რეაქცია ჰქონდა და გარიგებაც ჩაიშალა. ამას კიდევ დასჭირდება ბრძოლა, დავით გარეჯის ამბავი ჯერ საბოლოოდ დამთავრებული არაა.

***– დავით გარეჯის ამბავმა შეიძლება ჩვენს მოსახლეობაზე დადებითად იმოქმედოს. არჩევნების წინ ხალხის იმაში დარწმუნება, რომ ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი, მაგარი ამბავია.***

– ზუსტად მაგის თქმა მინდოდა. წინ მნიშვნელოვანი საპარლამენტო არჩევნები გველოდება და უნდა გვახსოვდეს, რომ ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი, იქნება ეს პოლიტიკა, სპორტი თუ ცხოვრება.

ახლა საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი უდგას, ახლა ისეა საჭირო ბრძოლა, როგორც არასდროს.

დიდი ბრძოლების გადატანა მოგვიწევს არჩევნებამდეც. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ეს ქვეყანა როგორმე არჩევნებამდე მივიტანოთ.

***– რას გულისხმობთ?***

– იმას, რომ საჭიროა ბრძოლა, რათა ჩვენი ტერიტორიები მეზობელმა ქვეყნებმა არ დაინაწილონ.

ასევე უნდა ვიბრძოლოთ ადამიანის სიცოცხლის დასაცავად. ავიღოთ მალხაზ მაჩალიკაშვილი. ამ ადამიანს მძინარე შვილი საწოლში ჩაუცხრილეს. იმის მაგივრად, რომ სიმართლე დაადგინონ, შვილმოკლულ მამას აცხადებენ ტერორისტად.

რაც მეტი მოქალაქე ჩაერთვება ამ ბრძოლაში, მით უკეთესი მდგომარეობით მივალთ არჩევნებამდე. არჩევნებზე კი მთავარი ბრძოლა გაიმართება.

***– ეგ მაშინ, თუ ხალხს დაარწმუნებთ, რომ არჩევნებში მონაწილეობა აუცილებელია.***

– ჩვენ რატომ უნდა დავარწმუნოთ? ჯერ კიდევ არისტოტელე ამბობდა, რომ ადამიანი პოლიტიკური არსებაა. მისი კარგად თუ ცუდად ყოფნა პოლიტიკაზეა დამოკიდებული.

ჩერჩილი ამბობდა, რომ დემოკრატია ცუდი რამაა, მაგრამ კაცობრიობას მასზე უკეთესი ჯერ არ მოუგონია. არჩევნების გარეშე ხელისუფლების შეცვლა არ ხდება. ზოგჯერ ეს მიზანი რევოლუციითაც მიიღწევა, მაგრამ უმჯობესია, არჩევნები ჩატარდეს.

რაც მეტად იაქტიურებს ამომრჩეველი, მით ნაკლებია შანსი, რომ არჩევნები გაყალბდება. ამის ნათელი მაგალითია 2012 წლის არჩევნები. მაშინ ქართველმა ხალხმა ნაციონალებს განაჩენი გამოუტანა, რაც ხელისუფლებაში მოსულმა „ქართულმა ოცნებამ“ არ აღასრულა. ბრძოლასთან ერთად საჭიროა პოლიტიკური მეხსიერების შენარჩუნებაც.

***– პოლიტიკური მეხსიერების შენარჩუნებაში რას გულისხმობთ?***

– ხალხმა უნდა გაიხსენოს, ვინ რა ზიანი და ტკივილი მოუტანა ქვეყანას და ასე გააკეთოს არჩევანი. ასევე აუცილებელია, რომ მოხდეს საარჩევნო პროგრამების გადახედვა.

***– საქართველოში საარჩევნო პროგრამებს როდის უყურებენ.***

– ჰოდა, ეგ არის ძალიან დიდი პრობლემა. ხომ ვხედავთ, რომ ზოგიერთი პარტია ამომრჩეველს პროსტიტუციის ლეგალიზებას სთავაზობს.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, მთელმა ოპოზიციამ ერთად უნდა იბრძოლოს არჩევნებზე. ოღონდ ერთმანეთში აზელვა და გაუგებარი კოალიციების შექმნა საჭირო არ არის.

პარლამენტში რაც შეიძლება ბევრი პარტია უნდა შევიდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ძალაუფლება ისევ ერთი კაცის ხელში მოექცევა, რაც ქვეყანას განვითარების შანსს მოუსპობს.



„ზურაბ ჯაფარიძე ოლიგარქის ოცნებებს ასრულებს“

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# მამუკა ბახტაძემ გიორგი ქობულიას ფეხი მოუქნია

## რა სკანდალური ინფორმაციების გამხელას აპირებს ყოფილი მინისტრი

შორენა მარსაგიშვილი

ეკონომიკის ყოფილი მინისტრი გიორგი ქობულია, რომელიც თავისი უცნაური განცხადებებით ერს აგიჟებდა, ბოლო რამდენიმე კვირაა, ხალხის ჯილა გახდა. მას შემდეგ, რაც ქობულია თანამდებობიდან გააგდეს, ლამისაა, მთელი საქართველო მასზე დაეცეს.

ამ ეტაპზე ქობულიამ მხოლოდ ის აღიარა, რომ თანამდებობიდან თავისი ნებით არ წასულა. ქობულიას რომ თანამდებობიდან წასვლის შესახებ განცხადების დაწერას აიძულებდნენ, ეს „ახალმა თაობამ" ჯერ კიდევ მის გადადგომამდე დაწერა.



ამასთან დაკავშირებით კიდევ ახალი დეტალები ხდება ცნობილი. ჩვენმა მკითხველმა უკვე იცის, რომ პოსტის დატოვებისკენ მას მამუკა ბახტაძემ მოუწოდა, რომელმაც ეს დავალება ივანიშვილისგან მიიღო.

ქობულიამ თავისი ნებით განცხადების დაწერა არ ისურვა და ბახტაძეს უთხრა, თუ მაგარი ბიჭი ხარ, გადამაყენეო.

გადაყენება „ოცნების" ინტერესებში არ შედიოდა და ყოფილ მინისტრს პრემიერთან სერიოზული ჩხუბი მოუვიდა.

„ოცნების" კულუარებში ამბობენ, რომ ქობულიას სიჯიუტით გამწარებულმა პრემიერმა მინისტრს ფეხიც კი მოუქნია და უწმაწური სიტყვითაც შეამკო. თან უყვიროდა, მე მოგიყვანე ამ პოსტზე და რას მიკეთებო.

ბოლოს მინისტრი მაინც გადააყენეს. გადაყენების მიზეზებზე სასაუბროდ ქობულიას პარლამენტში სურს მისვლა, მაგრამ „ოცნების" დეპუტაცია მას ცოცხალი თავით არ იბარებს მოსმენაზე.

მათზე არც ყოფილი თანაპარტიელის, ლევან კობერიძის მოთხოვნამ გაჭრა. უმრავლესობიდან წამოსვლამდე და წამოსვლის შემდეგაც, დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის სხდომაზე დეპუტატმა ლევან კობერიძემ ეკონომიკის ყოფილ მინისტრს პარლამენტში არასაკომიტეტო, ღია ფორმატის ფარგლებში მისვლა შესთავაზა.

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარე რომან კაკულია მედიასთან საუბარში აცხადებს, რომ ყოფილი მინისტრის მხრიდან წარსული საქმიანობის ანგარიშის მოსმენა მისთვის მიუღებელია.

რომან კაკულია ამბობს, რომ მას უკვე ჰქონდა კომუნიკაცია გიორგი ქობულიასთან და დაინტერესდა, ისაუბრებდა თუ არა საკომიტეტო მოსმენაზე თანამდებობიდან წასვლის შესახებ.

კომიტეტის თავმჯდომარის თქმით, ყოფილმა მინისტრმა მასთან საუბარში აღნიშნა, რომ შეხვედრის დროს მისი განვლილი საქმიანობის ანგარიშის წარდგენას გეგმავდა.

რომან კაკულია ამბობს, რომ მისთვის პირადად ყოფილი მინისტრის ანგარიშის მოსმენა მიუღებელია საკომიტეტო ფორმატში. თუმცა, ასევე ამბობს, რომ თუ ქობულიას სურს ანგარიშის წარდგენა, შეუძლია, დაესწროს მისი შემცვლელის ნათია თურნავას პარლამენტში გამოსვლას და იქ ისაუბროს თავისი საქმიანობის შესახებ.

– აქ ცოტა ორი თემა ერთმანეთს ასცდა მე მგონი, თავიდან, როდესაც ეს საკითხი დაისვა, საკითხი იყო, რომ ბატონი ქობულია აპირებს, რაღაც დამატებითი სიცხადე შეიტანოს მისი გათავისუფლების საკითხში, ეს იყო მთავარი თემა და ჩემი პოზიცია იყო, რომ თუ მას აქვს რაიმე სათქმელი ისეთი, რაც არ უთქვამს და აპირებს, რომ მომავალში თქვას, კი ბატონო, რატომაც არა, თქვას აქ.



მერე, როდესაც პირადად ვესაუბრე, მან უკვე ეს საკითხი გადმოიტანა მისი საქმიანობის შეფასებაზე, რაც, პრინციპში, სხვა საკითხია აბსოლუტურად, – აცხადებს კაკულია.

აშკარაა, რომ პარლამენტში ქობულიას არ ალაპარაკებენ, მაგრამ, როგორც ამბობენ, ის უკვე ესაუბრა დასავლეთელ პარტნიორებს მისი გადაყენების რეალურ მიზეზებზე და ისიც გაამხილა, თუ რა საიდუმლო მოლაპარაკებები მიდის რუსეთთან.

რაღაცები მან რუსთავი 2-თანაც თქვა, თუმცა, როგორც ამბობენ, იმასთან შედარებით, რის თქმასაც ნამინისტრალი აპირებს, ეს მხოლოდ ჟურნალია.

კინო კი ძალიან მაგარი იქნება.

# ინფექციური დაავადებების გავრცელების მთავარი წყარო სტომატოლოგიური კლინიკებია

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ინფექციის პრევენციისა და კონტროლის (იპკ) სისტემის ეფექტიანობის აუდიტი იმის დასადგენად, თუ რამდენად საკმარისია ქვეყანაში არსებული რეგულაციები და კონტროლის მექანიზმები სამედიცინო დაწესებულებებში ინფექციის პრევენციისა და კონტროლის ეფექტიანი სისტემის უზრუნველსაყოფად. აუდიტის შედეგად გამოვლინდა ის ნაკლოვანებები, რომლებიც გავლენას ახდენენ სისტემის ეფექტიანად მართვაზე, ამის შესახებ საუბარია აუდიტის სამსახურის დასკვნაში.



ქვეყანაში არ არის შემუშავებული ინფექციის პრევენციისა და კონტროლის ერთიანი ეროვნული სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა, რაც უზრუნველყოფდა სახელმწიფო დონეზე ერთიანი პოლიტიკისა და გასატარებელი ღონისძიებების არსებობას იპკ-ის სისტემის გაუმჯობესების მიზნით. აღნიშნული საკითხები მხოლოდ ფრაგმენტულად არის ასახული 2017-2020 წლების ანტიმიკრობული რეზისტენტობის საწინააღმდეგო და 2016-2020 წლების C ჰეპატიტის ელიმინაციის ეროვნულ სტრატეგიებში, რაც არ არის საკმარისი პოლიტიკის განსასაზღვრად;

მიუხედავად იმისა, რომ სამინისტროსა და ცენტრის მიერ შემუშავებულია მექანიზმები, რომლებიც მიმართულია ქვეყანაში სამედიცინო მომსახურებასთან ასოცირებული ინფექციების შესახებ ინფორმაციის გაუმჯობესებისკენ, ისინი არ არის საკმარისი მისი სანდოობის უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას ფლობდეს სრულყოფილ ინფორმაციას სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებებში აღნიშნული მიმართულებით არსებული რეალური მდგომარეობის შესახებ, რაც, თავის მხრივ, შექმნიდა ნოზოკომიურ ინფექციებზე გაწეული ხარჯების იდენტიფიცირებისა და ეფექტიანი მართვის პირობებს;

კანონმდებლობა, ერთი მხრივ, ავალდებულებს დაწესებულებას, აღრიცხოს ნოზოკომიური ინფექციები და მეორე მხრივ, არ მოითხოვს მათი დადასტურებისთვის აუცილებელ ერთ-ერთ ინსტრუმენტს –- მიკრობიოლოგიურ ლაბორატორიას. შესაბამისად, საქმიანობის დაწყების ეტაპზე არ არის განსაზღვრული მექანიზმი, რისი მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა სტაციონარული დაწესებულებების მიერ ნოზოკომიური ინფექციების გამოვლენა, დადასტურება და აღრიცხვა;

კანონმდებლობა არ მოითხოვს, შემოწმდეს სტომატოლოგიური სამედიცინო დაწესებულებები საქმიანობის დაწყების ეტაპზე აკმაყოფილებენ თუ არა სავალდებულო მოთხოვნებს, ამავე დროს, შესამოწმებელი დაწესებულებების შერჩევის კრიტერიუმად არ არის განსაზღვრული ახლად გახსნილი სტომატოლოგიური დაწესებულებების შემოწმება, რაც ზრდის პაციენტების უსაფრთხოების რისკებს;

სადეზინფექციო საშუალებების რეგისტრაციისას, დოკუმენტაცია ზოგიერთ შემთხვევაში წარმოდგენილია არასრულყოფილად. გარდა ამისა, არ არის კონკრეტულად გაწერილი, რა შინაარსის მატარებელი უნდა იყოს სავალდებულო დოკუმენტაცია, რაც ზრდის არაერთგვაროვანი მიდგომის რისკებს;

დეტალურად გაწერილი მეთოდოლოგია არ არის შემუშავებული, რომლის მიხედვით, რეგულირების სააგენტო უნდა ახორციელებდეს სამედიცინო დაწესებულებების კონტროლს,

რაც ზრდის იმის რისკს, რომ სრულად ვერ გამოვლინდება სტაციონარულ დაწესებულებებში არსებული იპკ სისტემის ნაკლოვანებები.

სტომატოლოგიური დაწესებულებისთვის ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულია იპკ-ის სისტემის მოთხოვნები. 2018 წლის მაისის მდგომარეობით, ქვეყანაში მოქმედებდა 1,526 სტომატოლოგიური დაწესებულება. სააგენტოს მიერ 2015-2017 წლებში განხორციელებული შემოწმების შედეგად გამოვლინდა რომ შემოწმებული სტომატოლოგიური დაწესებულების 54% ვერ აკმაყოფილებს იპკ-ის მოთხოვნებს. ამათგან, იპკ-ის სისტემის მიმართულებით ტექნიკური რეგლამენტის ცალკეული მოთხოვნის, ყველაზე მეტი დარღვევა გამოვლინდა დეზინფექციისა და სტერილიზაციის (მრავალჯერადი გამოყენების სამედიცინო იარაღების, საგნებისა და მასალებისათვის) სათანადო რეჟიმითა და აღრიცხვით უზრუნველყოფის პროცესში: 2015 წელს, აღნიშნული მოთხოვნა დარღვეულია შემოწმებული სტომატოლოგიური დაწესებულებების 55%-ში, 2016 წელს – 48%-ში და 2017 წელს – 51%-ში.

# ნინო გვენეტაძე: „ეს პერიოდი ჩემი ჯანმრთელობის რეაბილიტაციას მოვახმარე"

უზენაესი სასამართლოს ყოფილმა თავმჯდომარემ, ნინო გვენეტაძემ, ხანგრძლივი დუმილის შემდეგ, დღეს ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა. გვენეტაძემ ზეწოლა უარყო და ამბობს, რომ თანამდებობა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო დატოვა.



უზენაესი სასამართლოს ყოფილმა თავმჯდომარემ უპასუხოდ დატოვა კითხვა, – გახდა თუ არა თავის დროზე შანტაჟის მსხვერპლი და ვინ აიძულა პოსტი დაეტოვებინა, თუმცა არ უარყვია კონფლიქტები, რომელზეც მისი თანაშემწე საუბრობდა.

– უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, იუსტიციის საბჭოს თავმჯდომარის და აქტიური მოსამართლის პოზიციის განხორციელება ძალიან დიდ ძალისხმევას ითხოვდა, რამაც რეალური ასახვა ჰპოვა ჩემს ჯანმრთელობაზე. ამდენად, მე დამჭირდა დრო სარეაბილიტაციოდ. განცხადებაც, რომელიც წერილობით გავაკეთე აბსოლუტურად დეტალურად შეიცავდა ამ ინფორმაციას. მე არ ვიცი, რატომ არ არის თქვენთვის ეს განცხადება სარწმუნო. ეს პერიოდი მოვახმარე ჩემი ჯანმრთელობის რეაბილიტაციას. დღეს მაქვს უნარიც და ჯანმრთელობის მდგომარეობაც მიწყობს ხელს, რომ აკადემიური და საგანმანათლებლო საქმიანობა განვახორციელო. არავითარი ზეწოლა ჩემზე არ განხორციელებულა. მე მყარი საკონსტიტუციო ვადით ვიყავი გამწესებული უზენაეს სასამართლოში და არავითარი ზეწოლა არ ყოფილა.

მე ვიცნობ ჩემი ყოფილი თანაშემწის განცხადებებს, მას აქვს მოსაზრებები, რომლებიც გარკვეულ საკითხთან მიმართებაში აზრთა სხვადასხვაობისას, ბუნებრივია, იწვევდა განსხვავებულ და ხშირად კონფლიქტურ სიტუაციებს და თუ მე მეკითხებით და ჩემი აზრიც გაინტერესებთ, ჩემმა თანაშემწემ საკმაოდ სწრაფად დატოვა შემდეგ ის პოზიცია, რომელსაც ჩვენ ერთად ვახორციელებდით და ამის შემდეგ საერთოდ სასამართლო ხელისუფლება, მართლმსაჯულების რეფორმის ეტაპები, კოლეგიურ ორგანოში მოღვაწეობა, როგორიც იუსტიციის საბჭოში, წარმოშობდა კონფლიქტებსაც, წინააღმდეგობრივ აზრებსაც, შეუთანხმებლობასაც, ეს პროცესი იყო სამუშაო, რომლის მთავარი მიზანი იყო დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულების უზრუნველყოფა. ამდენად, მას თავისი შეხედულებები აქვს და თავისი ეთიკური სტანდარტი ამ საკითხთან მიმართებაში და საუბრობს ის, რაც იცის ან ნახა, – განაცხადა ნინო გვენეტაძემ.

# „არჩევნები ჩაივლის ძალიან მშვიდად და დემოკრატიულ პირობებში"

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რიყეში, გაერთიანებული ოპოზიცია – „ძალა ერთობაშიას" მერობის კანდიდატის სანდრა რულოვსის მხარდასაჭერად კარდაკარის დროს ოპოზიციის წევრებს პროვოკაციები მოუწყვეს.

ადგილზე მათ სუს-ისა და შს სამინისტროს წარმომადგენლები დახვდნენ, ადგილი ჰქონდა ოპოზიციის ლიდერების ფიზიკური შეურაცხყოფის მცდელობასაც. ასევე ადგილზე იმყოფებოდა გამგეობის წარმომადგენელი ნასვამ მდგომარეობაში.

ადგილობრივების განცხადებით, არაერთხელ ჰქონია მმართველი გუნდის კანდიდატის წარმომადგენლების მხრიდან მათი დაშინების მცდელობას ადგილი.

ამ ყოველივეს დღეს „ქართული ოცნების" წარმომადგენელმა ლაშა გვასალიამ უპასუხა და თავად ოპოზიცია დაადანაშაულა არეულობის მოწყობის მცდელობაში:

– დაუძველდათ „ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლებს თავიანთი მეთოდები და ხერხები, ისინი როცა დარწმუნდებიან, რომ არჩევნებს აგებენ უპირობოდ, მაშინაც მიმართავენ მსგავს ხრიკებს, მაგრამ არ გაუვათ მათ, ისინი ცდილობენ, რომ შემოიტანონ არეულობა, მაგრამ ზუგდიდშიც და საქართველოს ყველა რეგიონში, სადაც ტარდება არჩევნები, ჩაივლის ძალიან მშვიდად, დემოკრატიულ პირობებში, ამიტომ დამშვიდდნენ, არანაირი მსგავს რაღაცებს ჩვენი მხრიდან ადგილი არ აქვს და არც არასდროს ექნება, – განაცხადა ლაშა გვასალიამ.

# ღვთისმშობლის წილხვდომილობის დღესასწაულთან დაკავშირებით მთავრობა 694.600 ლარს დახარჯავს

საქართველოს მთავრობა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვდომილობის დღესასწაულთან დაკავშირებით დაგეგმილ ღონისძიებებში 694,600 ლარს დახარჯავს. 480 ათას ლარს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო მიიღებს, 141.600 ლარს – საქართველოს საპატრიარქო, 73 ათას ლარს კი, საგარეო საქმეთა სამინისტრო. ამის შესახებ საუბარია საქართველოს მთავრობის №1031 განკარგულებაში, რომელიც დღესასწაულთან დაკავშირებით დაგეგმილ ღონისძიებების განხორციელების სამოქმედო გეგმას ეხება და ხელს პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე აწერს.

როგორც დოკუმენტიდან ხდება ცნობილი, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთვის გამოყოფილი ფულიდან 48,400 ლარი ღვთისმშობლის წილხვდომილობის თარიღის ამსახველი 150 000 ხატისა და 150.000 ბროშურისთვის დაიხარჯება.

# მექა ხანგოშვილი: „წარმოუდგენელია, მალხაზ მაჩალიკაშვილს სასაფლაოზე ტერაქტი დაეგეგმა“

## „ეს არის გამწარებული ადამიანის საუბარი, რომელიც სამართალს ვერ პოულობს“

ნათია ხურცილავა



პანკისის ხეობის მკვიდრი **მექა ხანგოშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მალხაზ მაჩალიკაშვილის საქმეზე და პანკისის მოსახლეობის განწყობაზე საუბრობს.

***– ქალბატონო მექა, მალხაზ მაჩალიკაშვილის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე რა განწყობაა პანკისის ხეობაში?***

– ძალიან ცუდი რამ ხდება. ამ შემთხვევაში მე მხოლოდ ჩემს აზრს არ გამოვხატავ, ეს არის მთელი ხეობის აზრი: პანკისის ხეობით მანიპულირება ხდება, ხალხი დაიღალა. დაიღალა ეს ოჯახი. ჯერ გამოძიება არ დასრულებულა, არ ვიცით გამოძიების შედეგები, დაზარალებულის სტატუსი არ მიუნიჭებიათ და ახალი ბრალი წაუყენეს მალხაზ მაჩალიკაშვილს, თითქოს ტერაქტს აწყობდა. ეს სრულიად წარმოუდგენელი და დაუჯერებელია. ამის არავის სჯერა.

პანკისისხეობელი ქისტები ტერორისტებს არ ვზრდით. ჩვენ სამშობლოს, საქართველოს ერთგულ და მამაც შვილებს ვზრდით. პანკისის ხეობაში საქართველოს პატრიოტები იზრდებიან. ამიტომ, ასეთი დამოკიდებულება ძალიან შეურაცხმყოფელია პანკისის ხეობისთვის, ჩვენი მოსახლეობისთვის.

მალხაზ მაჩალიკაშვილი არის გამწარებული მამა. მას ერთადერთი ვაჟი მოუკლეს მუხანათურად, საკუთარ ლოგინში. ხომ წარმოგიდგენიათ, რა დღეშია ადამიანი. ის ამბობს, რომ მხოლოდ სიმართლეს და სამართალს ეძებს და სხვას არაფერს. ამ გამწვავებულ მდგომარეობაში, თან როდესაც პანკისის ხეობაში ასეთი აღელვებულია ხალხი, ეს ძალიან მწვავე განცხადება მალხაზ მაჩალიკაშვილზე არ მგონია, გონივრული იყოს.

***– სატელეფონო საუბარმა, რომელიც მალხაზ მაჩალიკაშვილს ძმისშვილთან ჰქონდა, რა შთაბეჭდილება დაგიტოვათ? ეს იყო მხოლოდ გამწარებული მამის საუბარი?***

– მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს იყო მხოლოდ გამწარებული მამის საუბარი და აქ სხვა რაიმე შეუძლებელია იყოს. ქმედება არ ყოფილა და სიტყვების გამო შეიძლება ადამიანი ტერორიზმში დაადანაშაულო?! ეს საუბარი ავთენტური რომც იყოს, მე არ ვამბობ, რომ ავთენტური არ არის, რომც შემდგარიყო ეს საუბარი ბიძასა და ძმისშვილს შორის, ამას ხომ ქმედება არ მოჰყოლია?! საუბარი დარჩა საუბრად.

ეს არის გამწარებული ადამიანის საუბარი, რომელიც სამართალს ვერ პოულობს, რომელიც იჩაგრება. რამდენი გამწარებული ადამიანი რაღაცას იტყვის, ამის გამო შეიძლება მისი დადანაშაულება?! ბოლოს და ბოლოს, ეს ქისტი კაცისთვის ღირსების საკითხია. ეს საკითხი ჩვენთან სხვანაირად დგას.

***– რა გარანტიაა, რომ მის სიტყვებს ქმედება არ მოჰყვება? თუმცა, ის ამბობს, რომ ჩემში ძალას ვპოულობ, რომ შურისძიების სურვილი ჩავკლაო.***

– ჩვენს ტრადიციებში სასაფლაოზე მსგავსი რამ არასდროს მომხდარა და არც მოხდება. ეს დაუშვებელია. სასაფლაოზე ტერაქტი არასდროს მომხდარა. ეს არ გაგონილა.

***– რატომ, ქისტები მიცვალებულს ძალიან მაღალ დონეზე აყენებენ, პატივს სცემენ?***

– დიახ, ძალიან მაღალ დონეზე აყენებენ. არ აქვს მნიშვნელობა, მიცვალებული ქრისტიანია თუ მუსლიმანი. მიცვალებული ჩეჩენისთვის მხოლოდ პატივის მიგებას იმსახურებს, ვინც არ უნდა იყოს ის. არ აქვს მნიშვნელობა, ვინ არის გარდაცვლილი ადამიანი. ამიტომ, დაუჯერებელია, რომ სასაფლაოზე ტერაქტი დაეგეგმა მალხაზ მაჩალიკაშვილს.

***– მალხაზ მაჩალიკაშვილმა თქვა, რომ არის ქართველი, მაგრამ ჩეჩნური, ვაინახური კოდით. თქვენ ამბობთ, რომ ეს მისთვის ყველაფერთან ერთად ღირსების საკითხია?***

– რა თქმა უნდა! ვაინახი კაცისთვის ღირსებას ცოტა სხვა დატვირთვა აქვს. ეს კოდი ჩვენში დევს. ღირსების ჩაკვლა ჩვენთვის წარმოუდგენელია. მიკვირს ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან, რომ ისინი არ მიჯნავენ ტერორისტულ აქტს. მართლა მზადდებოდა თუ არა ტერორისტული აქტი, მართლა თანამშრომლობდა თუ არა მაჩალიკაშვილის შვილი ტერორისტებთან, ეს ყველაფერი ძალიან არასერიოზულია.

ჩეჩენი ადამიანისთვის უპირველესი არის ღირსება, მის ღირსებას არავინ ეხება და არც ის ეხება სხვის ღირსებას. ამდენად, ეს არ არის მხოლოდ მაჩალიკაშვილების ოჯახის ტრაგედია, ეს არის ხეობის მოსახლეობის ტრაგედია და ამ საკითხზე ხეობაში ერთიანი პოზიციაა.

საქართველოს მოსახლეობაც ამ ტრაგედიისას მალხაზ მაჩალიკაშვილის გვერდით არის. ჩვენ ამას ვგრძნობთ. მე ამას ვგრძნობ ყოველ ნაბიჯზე. გუშინ, ჩვეულებრივ ყოფით ამბავში, თბილისელმა ქალმა მიცნო, გამომელაპარაკა და მაჩალიკაშვილის ამბავზე დამიწყო საუბარი.

რასაკვირველია, ჩვენ გამოძიებას ველოდებით. ძალიან გაიწელა დრო, ეს დრო უსაშველოდ გაიწელა მამისთვის. არის უამრავი კითხვა და არანაირი პასუხი არ ისმის. ამის ატანა ძალიან ძნელია არათუ მამისთვის, დედისთვის, არამედ ნებისმიერი ადამიანისთვის.

როგორ გითხრათ, რომ ყოფილიყო ძალიან ხისტი, სრულიად მიუღებელი პასუხი, მაგრამ მაინც პასუხი, რომ შეცდომა მოგვივიდა და რომ მალხაზ მაჩალიკაშვილის ოჯახი შეცდომის მსხვერპლია, მერწმუნეთ, მალხაზ მაჩალიკაშვილი ამ პასუხს მიიღებდა.

***– მიიღებდა ასეთ პასუხს პანკისის ხეობა? ამაზე საუბრობს მალხაზ მაჩალიკაშვილი.***

– რა თქმა უნდა, მიიღებდა! რა, 21 აპრილს არ მიიღო გიორგი გახარიასგან?! როდის იყო, რომ პანკისის მოსახლეობა არასახელმწიფოებრივად აზროვნებდა?! როდის აწყობდა პანკისელი მოსახლეობა ტერორისტულ აქტებს?!

მე არ ვამბობ, რომ ხელისუფლებას არ აქვს ხეობის მიმართ პოლიტიკა, რისთვისაც ჩვენ ძალიან მადლობლები ვართ, მაგრამ ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს პანკისის ხეობით მანიპულირება. ხალხი დაიღალა.

***– თუ დააკავებენ მალხაზ მაჩალიკაშვილს, მაშინ როგორი იქნება პანკისის ხეობის რეაქცია? თუ ფიქრობთ, ამაზე არ წავა ხელისუფლება?***

– ეს არ იქნება მხოლოდ მალხაზ მაჩალიკაშვილის წინააღმდეგ მიმართული ნაბიჯი. ეს თავისთავად ხეობის მოსახლეობის პროტესტს გამოიწვევს. ჩვენ იმას არ ვამბობთ, რომ დამნაშავე არ უნდა დაისაჯოს, არა, დამნაშავე ნამდვილად უნდა დაისაჯოს, მაგრამ დანაშაული რომ არ ჩაუდენია?! უდანაშაულო ადამიანის დასჯაკი, რასაკვირველია, პროტესტს გამოიწვევს.

წარმოიდგინეთ, 21 აპრილს განვითარებული მოვლენები, ამდენი წლის ურთიერთობები, ამდენი წლის ნაშრომი, ლამის წყალში ჩაგვეყარა. ბეწვის ხიდზე გავიარეთ. თან როგორ გვიყურებს მესამე ძალა.

მე ეს ყველაფერი მაშფოთებს.

## ვახტანგ გომელაური პოლონეთის შიდა უსაფრთხოების სააგენტოს უფროსს შეხვდა



სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა ვახტანგ გომელაურმა პოლონეთის შიდა უსაფრთხოების სააგენტოს უფროსთან, პიოტრ პოგონოვსკისთან შეხვედრა გამართა. მხარეებმა რეგიონში არსებული უსაფრთხოების გარემო და ორ უწყებას შორის ურთიერთთანამშრომლობის საკითხები განიხილეს. საუბარი შეეხო საქართველოსა და პოლონეთს შორის უსაფრთხოების მიმართულებით თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივებს.

## ტექინსპექტირების 3 ცენტრში გაუმართავ ავტობუსებზე ყალბ დასკვნებს გასცემდნენ, დააკავეს 4 პირი

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა ყალბი ოფიციალური დოკუმენტაციის დამზადება – გასაღებისა და გულგრილობის ფაქტებზე პირველადი ტექნიკური ინსპექტირების სამი ცენტრის ოთხი თანამშრომელი დააკავეს.

– გამოძიებით დადგინდა, რომ თბილისში მდებარე პირველადი ტექნიკური ინსპექტირების სამ ცენტრში, კერძო პირების საკუთრებაში არსებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე, ასევე, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ კუთვნილ, ტექნიკურად გაუმართავ ე.წ. „ყვითელ“ სამგზავრო ავტობუსებზე გაიცემოდა ყალბი დადებითი დასკვნები, – აცხადებს საგამოძიებო სამსახური.

საქმეზე გრძელდება გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის და 220-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილებით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 3 წლამდე ვადით.

2019 წლის პირველი იანვრიდან პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება ყველა სახის ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის სავალდებულო გახდა.

**კომერსანტი**

## „სებ-ის მიერ ფულის გათეთრებაზე გავრცელებული ინფორმაცია უნდობლობას ბადებს საფინანსო სექტორის მიმართ“

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ფულის გათეთრებაზე შემოწმებისას 2018 წელს 6 ბანკი ნახევარი მლნ. ლარით დააჯარიმა. საანგარიშო პერიოდში ასევე განხორციელდა 38 ვალუტის გადამცვლელი პუნქტის და 2 მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ადგილზე ინსპექტირება (სანქცია – 748.300 ლარი). დააჯარიმდნენ საბროკერო კომპანიებიც.

სებ-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში დაზუსტებულია მხოლოდ დაჯარიმებული ორგანოების რაოდენობა და თანხის ოდენობა. უცნობია, ფულადი სანქცია რომელ ბანკს დაეკისრა და რა მიზეზით. ამიტომ ბიზნეს სამართლის სპეციალისტი აკაკი ჩარგეიშვილი გავრცელებულ ინფორმაციას, ფულის გათეთრების შესახებ, არასრულყოფილს უწოდებს, რაც ზოგად საფინანსო სექტორის მიმართ უნდობლობას ბადებდა და არა კონკრეტული ორგანოების მიმართ.

– მაგალითად, მე ვარ კონკრეტული ბანკის მომხმარებელი და, ბუნებრივია, მაინტერესებს მოხვდა თუ არა დაჯარიმებულთა სიაში ჩემი ბანკი. ასეთ შემთხვევაში აუცილებლად თავს ავარიდებდი ამ ორგანოსთან ურთიერთობას. მაგრამ ეროვნული ბანკი არ მეუბნება ვინ დააჯარიმა. შესაბამისად, მე მაქვს არასრულყოფილი ინფორმაცია. მით უმეტეს, საქმეს ართულებს ისიც, რომ არ ვიცით მიზეზი, რის გამო დაჯარიმდნენ კონკრეტული საფინანსო ინსტიტუტები. შავი ფულის გათეთრებაში იგულისხმება ისეთი მარტივი მიზეზიც, როგორიცაა მაგალითად, სუბიექტმა დაახურდავა ფული სავალუტო ჯიხურში და მისი პირადობის მოწმობის ასლი არ იყო ხელმოწერილი უშუალოდ მოსარგებლის მიერ. როდესაც მიზეზებიც არ ვიცით, რთულია, ადეკვატური წარმოდგენა შეგვექმნას, რასთან გვაქვს საქმე, – განმარტავს აკაკი ჩარგეიშვილი.

რაც შეეხება თავად შავი ფულის გათეთრების ბრძოლასთან დაკავშირებულ პროცედურას, საქართველოში მოქმედებს ორი ძირითადი უწყება: ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალური ბიურო, რომელიც ადრე იყო ეროვნული ბანკის ზედამხედველობის ქვეშ და ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, პარლამენტის ინიციატივით ეს უწყება პრემიერის კონტროლის ქვეშ მოექცა. მეორე უწყებაა უშუალოდ ეროვნული ბანკი, რომელიც ზედამხედველობს კონკრეტულად ფინანსურ ინსტიტუტებს (ბანკები, საგადასახადო ორგანო, ფასიანი ქაღალდების ბირჟა თუ რეგისტრატორი და ა.შ.).

პასუხისმგებლობის საკითხი ასე ნაწილდება:

– ფულის გათეთრება მიეკუთვნება მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს და მასზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრება. პირველი სანქცირება ეს არის ჯარიმა. პარალელურად მონაცემები ეგზავნება მონიტორინგის სამსახურს. შემდგომ ეს უკანასკნელი ამოწმებს ინფორმაციას და თუ უწყება მიზანშეწონილად ჩათვლის, საქმეს გადასცემს საქართველოს პროკურატურას. ამ შემთხვევაში იწყება სისხლის სამართლის დევნა, – განმარტავს აკაკი ჩარგეიშვილი.

შავი ფულის გათეთრება განსაკუთრებით აქტუალური „თიბისი ბანკის“ საქმის შემდეგ გახდა. თავად „თიბისისთან“ დაკავშირებულ გამოძიებას ბიზნეს სპეციალისტი შემდეგნაირად აფასებს:

– როგორც წესი, ფულის გათეთრების გამოძიება ხანდაზმულ პერიოდს მოიცავს. მაგალითად, 15 წლის წინ ჩადენილი დანაშაულის გამო კონკრეტული სუბიექტი პასუხისმგებლობაში რომ მიეცეს, შესაძლოა ეს პასუხისმგებლობა განხორციელდეს 10-15 წლის შემდეგ. ამიტომ აქ საკითხი არ დამდგარა, ჰქონდა თუ არა ამ შავი ფულის გათეთრებას ადგილი (თავად „თიბისიმ“ ჯარიმაც გადაიხადა). აქ უფრო მნიშვნელოვანი გახდა მთელი ამ ხნის განმავლობაში რამდენად ეფექტური ან არაეფექტური იყო თავად გამოძიება და ის სამსახური, რომლის მონიტორინგის ქვეშაც ხორციელდებოდა ეს პროცესები.

უცნობია, რატომ არ ასაჯაროებს ეროვნული ბანკი დეტალურ ინფორმაციას ფულის გათეთრებაში ეჭვმიტანილი საფინანსო ინსტიტუტების ვინაობასთან დაკავშირებით, რომელი ორგანო ფიგურირებს უმეტესად ამ დანაშაულში და დაცულია თუ არა ნებისმიერი მომხმარებლის ფულადი ანგარიშები. საკითხი რთულია და დარგის სპეციალისტები ამიტომაც მოითხოვენ საზოგადოებისთვის ზუსტი ინფორმაციის მიწოდებას, მაგრამ ეროვნული ბანკი კვლავ მხოლოდ ციფრებსა და რაოდენობას ასახელებს.




როგორც კომერსანტს ეროვნულ ბანკში განუცხადეს, ყველა საქმე მონიტორინგის სამსახურშია გადაგზავნილია და შესწავლა მიმდინარეობს.

შეგახსენებთ, ეროვნულმა ბანკმა, 6 მაისს, ფულის გათეთრების შემოწმებისას რამდენიმე საფინანსო სექტორი დააჯარიმა. შეირჩა და შემოწმდა 6 კომერციული ბანკი და დაკისრებულმა საჯარიმო სანქციებმა ჯამურად 596.000 ლარი შეადგინა.

საანგარიშო პერიოდში ასევე განხორციელდა 38 ვალუტის გადამცვლელი პუნქტის და 2 მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ადგილზე ინსპექტირება. დაკისრებულმა საჯარიმო სანქციების ჯამურმა მოცულობამ 748.300 ლარი შეადგინა, ამასთან, ერთ ვალუტის გადამცვლელ პუნქტს გაუუქმდა რეგისტრაცია. წლის განმავლობაში ასევე განხორციელდა 4 საბროკერო კომპანიის და 4 რეგისტრატორის შემოწმება, სადაც დაკისრებულმა საჯარიმო სანქციების ჯამურმა მოცულობამ 107 500 ლარი შეადგინა. წლის ბოლოს, ასევე, დაიწყო 9 საგადასახადო მომსახურების პროვაიდერის ადგილზე შემოწმება.

**კომერსანტი**

# მირიან მირიანაშვილი: „რუსული პოლიტიკური თამაშების ხანა მთავრდება“

მარიამ მჭედლიშვილი

## „რეგიონში სრულმასშტაბიანი ძვრებია“

ბოლო დღეებში საქართველოს პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი თემა საგარეო ორიენტაცია და რუსეთის პროპაგანდის გაძლიერება გახდა. ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, „საქართველოს გადარჩენის მოძრაობის“ ლიდერ მირიან მირიანაშვილს.

**მირიან მირიანაშვილი:**

– რუსეთის პროპაგანდა საქართველოში პირველად არ ვრცელდება. საზოგადოება იმაზეც ინფორმირებულია, რომ კრემლი დგამს ხელისუფლების გადაბარების სცენარებს და აწყობს სხვადასხვა პროვოკაციას. საქმე ის არის, რომ ინსპირატორებს საქართველოში ხელ-ფეხი შეებორკათ.

***– საზოგადოებას ასეთი განცდა არა აქვს.***

– საზოგადოება მალე ამას უფრო ნათლად დაინახავს. დავითგარეჯის პროვოკაცია ავიღოთ. ადრეც ვთქვი, რომ იქ განვითარებულ მოვლენებს წინ უძღოდა რუსეთისა და აზერბაიჯანის სპეცსამსახურების თათბირი საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზე.

ამერიკელებმა დიდი პროვოკაცია ჩაშალეს და ინციდენტმა უფრო მსუბუქი ფორმა მიიღო. ვაშინგტონის წარმომადგენლებმა პირადად გააფრთხილეს აზერბაიჯანის უშიშროების სამსახურის უფროსი გულიევი. ამ გაფრთხილების შედეგად ხალხს სამონასტრო კომპლექსის იმ ადგილებშიც უშვებენ, სადაც წინა წლებში არ უშვებდნენ. არავინ ამბობს, რომ საზღვრის დადგენის პრობლემა მოიხსნა, მაგრამ რუსეთში მოფიქრებული დიდი პროვოკაცია მტერს არ გამოუვიდა. ინსპირატორებს მომავალში ხელი უფრო მეტად მოეცარებათ. მათ არც წვრილი ინსპირაციები გამოუვათ და არც დიდი არეულობა.

***– რა იძლევა დაიმედების საფუძველს?***

– დიდი გარდატეხა. ჩვენს რეგიონში სრულმასშტაბიანი ძვრებია.

***– ბოლო დღეებში აშშ-ირანის კონფლიქტი გაღრმავდა. ირანის ნავთობის გატანა მთლიანად იზღუდება. თქვენ რომელ ძვრებს გულისხმობთ?***

– აშშ-მ ირანის მიმართ აამოქმედა სრულმასშტაბიანი სანქციები. დიდ ბიზნესზე ორიენტირებული წრეებისთვის წინასწარ ცნობილი იყო, რომ ეს მოხდებოდა. დიდმა ბიზნესმა თადარიგი წინასწარ დაიჭირა. მხოლოდ ეს ცვლილება არ მომხდარა. იკვეთება აშშ-ის ახალი რანგის მონაწილეობა პროცესებში და მისი სამხედრო-პოლიტიკური როლის ზრდა ჩვენს რეგიონში.

***– ამაში მხოლოდ სამხრეთ კავკასია არ იგულისხმება?***



– საუბარია კავკასიაზე, წინა აზიასა და სპარსეთის ყურეზე. ვაშინგტონის ყურადღება მსოფლიოს ამ ნაწილზეა ფოკუსირებული და მისი კონტროლი მომავალი ხუთი-ექვსი თვის განმავლობაში ამ მიმართულებით მზარდი იქნება. საქართველოს პოლიტიკური ელიტა სხვა რამით არის გართული, მოწყვეტილია პროცესებს. მისთვის ასეთი ინფორმაცია მიუწვდომელია, თანაც, ეს ელიტა ასრულებს როლებს რუსეთის თამაშში. რუსეთი თავისი ადგილობრივი კრეატურის ხელით პროვოკაციებს აწყობს. მსხვილი პროვოკაციებიდან გადადიან ისეთზე, სადაც გარეშე ხელი უფრო ნაკლებად იგრძნობა.

***– კერძოდ?***

– ვსაუბრობ რუსთავი 2-თან დაკავშირებულ მოვლენებზე. დაწყებულია დამოუკიდებელი ტელევიზიის დევნის ახალი სცენარი. ივანიშვილი არავის დევნის. რუსთავი 2-ის შემოსავლები ივსება სარეკლამო შემოსავლებით. რეკლამას არხზე ათავსებენ ქართველი ბიზნესმენები. ეს ხდება ივანიშვილის ხელშეწყობითა და დავალებით. ბევრი ბიზნესმენი იძულებით ათავსებს რეკლამას ტელევიზიაში. თუ ივანიშვილი მართლა ებრძვის არხს, გადაჭრას დაფინანსების წყაროები! მაშინ ამ არხს აღარ ექნება პოლიტიკური საქმიანობის რესურსი.

ეს დადგმაც ჩაფლავდება. რუსული პოლიტიკური თამაშების ხანა მთავრდება. ამ თამაშებში ჩართულია „ქართული ოცნება“, ასევე – ნაცმოძრაობის წიაღში მყოფი რუსული აგენტურა და ამ ძალების წვრილ-წვრილი სატელიტები. ამ აგენტურას უკვე სერიოზულ მეთვალყურეობას უწევენ. ამ ხალხს რუსული ინტერესების გატარება არ გამოუვა.

***– ნაცმოძრაობაში ბევრი სააკაშვილის მოლოდინშია.***

– ეს ცრუ იმედებია. სააკაშვილი არეულობასთან ასოცირდება. ყოფილი პრეზიდენტი და გუბერნატორი უკრაინის პოლიტიკაშიც ვერ მოიკიდებს ფეხს.

***– საქართველოში ბევრი ექსპერტი ისევ აცხადებს, რომ სააკაშვილი მალე ჩაერთვება უკრაინის პროცესებში.***

– სააკაშვილის წინააღმდეგ უკრაინაში გრძელდება საქმის გამოძიება. მას რუსეთის აგენტურასთან კოოპერაციას ედავებიან. ეს სახელმწიფოს წინააღმდეგ დანაშაულია. მას მოქალაქეობა მოეხსნა. 2017 წელს უკრაინის საზღვრის დარღვევის გამო სააკაშვილს 4 წლით აეკრძალა უკრაინაში ჩასვლა. მოქალაქეობა რომ დაუბრუნონ, ჩასვლა ჯერ აკრძალული აქვს.

ამ მონაკვეთში სააკაშვილს უკრაინაში შეუშვებენ იმ შემთხვევაში, თუ საჭირო გახდა მისი დასწრება სასამართლო პროცესზე. ზელენსკის გარემოცვიდან მაქვს ინფორმაცია, რომ სააკაშვილთან თანამშრომლობა არ იგეგმება. საკვანძო თანამდებობებზე მყოფი ამერიკელებიც ეწინააღმდეგებიან უკრაინაში სააკაშვილის საქმიანობას. ასე რომ, სააკაშვილზე ილუზიებს ნურავინ შეიქმნის, ექსპერტები კი ხალხს ნუ მოატყუებენ. უკრაინა იქით იყოს და ჩვენთვის მთავარია, რომ საქართველოში კრემლის სცენარები ვერ დაიდგმება ვერც სააკაშვილისა და ვერც სხვა შემსრულებლების მონაწილეობით. რეგიონში ძვრები დონალდ ტრამპის ვიზიტშიც ვლინდება.

***– ადრე ამბობდით, რომ აშშ-ის პრეზიდენტი თურქეთში ჩადის.***

– სწორედ ამ ვიზიტზე ვსაუბრობ. პრეზიდენტი ტრამპი ივლისის მეორე ნახევარში ეწვევა თურქეთს. ეს უდიდესი მოვლენაა და მხოლოდ ამ ქვეყანას არ ეხება. შეიძლება ითქვას, რომ ეს ღონისძიება უმნიშვნელოვანესი ხდება რამდენიმეწლიან პერიოდში. რუსეთთან შეკავშირებული კვარტეტი დაშლილია.

***– რუსეთის, ირანისა და თურქეთის გარდა, რომელ ქვეყანაზე გაქვთ საუბარი?***

– სომხეთზე. არსებობდა რუსეთის კავშირი თურქეთთან, ასევე რუსეთის მოკავშირე იყო სომხეთი. ირანი ნაწილობრივ მოკავშირედ ითვლებოდა. ეს ალიანსები იშლება. აშშ-ის კონტროლი რეგიონზე, მათ შორის, საქართველოზე, მზარდია. ეს პოლიტიკური სტაბილურობის მნიშვნელოვანი სეგმენტია და იმას ნიშნავს, რომ საგარეო მტერი და მისი აქაური აგენტურა სიტუაციას ველარ არევენ და ვერც ხელისუფლებაში მოვლენ.

# რევაზ არველაძე: „ელექტროენერგია უფრო მეტი შემოგვაქვს, ვიდრე გაგვაქვს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ენერგეტიკოსი, „ქართული ოცნების“ დეპუტატი **რევაზ არველაძე** პასუხობს.

***– ბატონო რევაზ, ჩვენი ელექტროენერგია გასაყიდად თურქეთსა და რუსეთში გადის. ამ ეტაპისთვის გვაქვს ამდენი ელექტროენერგია, რომ ექსპორტზე გავიტანოთ?***



– ჩვენი ელექტროენერგია სადაც არ უნდა გავიდეს, ძალიან კარგი იქნება, თუ ეს იქნება იმ პერიოდში, როდესაც ჭარბი გვაქვს ელექტროენერგია. ეს იწყება მაშინ, როდესაც ენგურში იწყებს წყალი დიდი რაოდენობით წამოსვლას. ეს მაისის თვიდან იწყება და ივნისი, ივლისი და აგვისტოს პირველი ნახევარი გრძელდება. ეს პერიოდი არის ჩვენთვის ექსპორტის საშუალება. ვინც უფრო კარგი პირობებით იყიდის, იქ უნდა გავუშვათ ეს ელექტროენერგია.

***– არის ამის საშუალება? ოპოზიცია აცხადებს, რომ ამის გამო, შესაძლოა, ჩვენს მოსახლეობას ელექტროენერგია გრაფიკით მიეწოდოს, ამაზე რას იტყვით?***

– ეს გამორიცხული უნდა იყოს.

***– წინა წლებში რომელ ქვეყნებში გაიყიდა ჩვენი ელექტროენერგია და რა ფასად?***

– ფასებს ვერ გეტყვით, რადგან არ ვიყავი ჩართული ამ საკითხებში, მაგრამ ელექტროენერგია ზაფხულის თვეებში გადიოდა და სადღაც მაქსიმალური ვარიანტი 600-700 მილიონ კილოვატი საათი იყო ზაფხულის პერიოდში. თუმცა ეს იყო დამოკიდებული იმაზე, რამდენად უხვწლიანი პერიოდი იყო წლის განმავლობაში ან ზაფხულის პერიოდში.

მაგალითად, 2010 წელს გამომუშავება 9,5 მილიარდ კილოვატ/საათზე ავიდა ჰიდროელექტროსადგურებზე. ეს არნახული მაჩვენებელი იყო და უკვე დავიწყეთ ლაპარაკი იმაზე, რომ იმპორტიორებიდან ექსპორტიორებად გადავიქეცით და ასე შემდეგ. თუმცა ეს იყო მხოლოდ იქიდან გამომდინარე, რომ იმ პერიოდში ბევრი იყო წყალი.

***– ახლა რა შეიცვალა, ისევ იმპორტიორები ვართ?***

– ჯამურად კი, ჩვენ მაინც იმპორტიორები ვართ ყოველთვის. წლიური შედეგით იმპორტი აჭარბებს ექსპორტს. შარშანაც, მაგალითად, 600 მილიონ კილოვატ/საათამდე გავიდა საზღვარგარეთ და მილიარდ-ნახევარზე მეტი შემოვიტანეთ. ასე რომ, ეს ჩვენი სიჭარბე, მე მაინც მგონია, რომ დროებითია.

***– რატომ არის დროებითი?***

– იმიტომ, რომ ჩვენთან ელექტროსადგურების მშენებლობის ტემპი მკვეთრად ჩამორჩება მოხმარების ზრდის ტემპებს. ზამთარში ძირითადად ელექტროენერგიას ვყიდულობთ აზერბაიჯანიდან და ნაწილობრივ – რუსეთიდან.

***– იმპორტის შემცირების შანსები გვაქვს?***

– ჩვენ ძალიან არასწორი მოლოდინები გვაქვს ხოლმე, რომ თითქოს ისეთ ეფექტურ ენერგოღონისძიებებს გამოვიგონებთ, რომ ეს მოგვცემს რაღაც სასწაულ დანაზოგს. არ არის ეს ასე. ჩვენ რომ იმპორტის მოცულობა შევამციროთ, ამისთვის არის საჭირო, რომ ჩვენი ელექტროსადგურები ავაშენოთ.

***– ამას დიდი პროტესტი მოსდევს საზოგადოებაში.***

– ჩვენი მოსახლეობა არ არის სწორად ინფორმირებული ჰიდროელექტროსადგურების მავნებლობასთან დაკავშირებით.

***– რატომ, არ არის მავნებელი ჯანმრთელობისთვის?***

– ჰიდროელექტროსადგურების უდიდესი ნაწილი ან საერთოდ არ ახდენს ზეგავლენას, ან – ძალიან მცირედს. მცირედ ზეგავლენას რომ არ ახდენდეს, ასეთი ობიექტი არ არსებობს. საცხოვრებელ სახლს რომ აშენებ, ის ახდენს გავლენას. თუმცა, იმდენად ნაკლებია გავლენა და იმდენად სერიოზული მაკომპენსირებელი ღონისძიებებია ჩადებული იმ მავნე გავლენის საკომპენსაციოდ, რომ არ უნდა იყოს ამის წინააღმდეგ ამხელა ბრძოლა.

საჭიროა, სწრაფად დავიწყოთ თბოელექტროსადგურების მშენებლობა. ესეც იმპორტია, რა თქმა უნდა, ჩვენ ჩვენი გაზი არ გვაქვს და იმპორტირებულ გაზზე უნდა ვამუშაოთ სადგურები, მაგრამ სხვა გამოსავალი არ არის. იმის იმედად ყოფნა, რომ ქარისა და მზის ელექტროსადგურები შეძლებენ, კომპენსაცია გააკეთონ, მცდარი შეხედულებაა.

***– რატომ?***

– მზის ელექტროსადგურები ძირითადად ელექტროენერგიას გამოიმუშავებენ ზაფხულში. ზამთარში 3-4 საათზე მეტი ვერ მუშაობენ ეს სადგურები. ქარის ელექტროსადგურებს ზამთარში მეტი პოტენცია აქვს, მაგრამ, მეორე მხრივ, ძალიან არასტაბილურია და ენერგოსისტემის მდგრადობას ძალიან სერიოზულ დარტყმას აყენებს. ქარის ელექტროსადგურს როცა აშენებ, სარეზერვო სადგურიც უნდა გქონდეს და ორმაგი ხარჯის გაწევა გიწევს.

აქედან გამომდინარე, ჩვენთვის ყველაზე კარგი იქნებოდა ჰესების მშენებლობა. თუ ესეც არ გამოვიდა, უნდა ვიფიქროთ ატომური ელექტროსადგურის მშენებლობაზე.

# სადაზღვევო ინდუსტრიაში ყველაზე დიდი მოგება კომპანია ალდაგს აქვს

სადაზღვევო ინდუსტრიაში ყველაზე დიდი მოგება კომპანია ალდაგს აქვს. 1 არხის გადაცემა „ბიზნესპარტნიორის“ ცნობით, 2018 წლის მონაცემებით, ალდაგმა 16.5 მლნ ლარის წმინდა მოგება მიითვალა, მეორე ადგილს თიბისი დაზღვევა იკავებს. მომგებიანი კომპანიების სამეულშია ჯიპიაი ჰოლდინგი. მისმა მოგებამ 3 მილიონი ლარი შეადგინა.

TOP – 5 -ში არიან იმედი L და სადაზღვევო კომპანია ტაო.

17-მა სადაზღვევო კომპანიამ შარშან ჯამში 42 მლნ ლარის წმინდა მოგება მიიღო, რაც 2-ჯერ მეტია 2017 წლის მაჩვენებელთან შედარებით. ბაზარზე მოქმედი კომპანიებიდან ორი ზარალზე იყო.

სადაზღვევო კომპანიები მომგებიანობის მიხედვით (არააუდირებული მონაცემები)

1. ალდაგი – 16.54 მლნ
2. თიბისი დაზღვევა – 7.08 მლნ
3. ჯიპიაი ჰოლდინგი 3.08 მლნ
4. იმედი L – 2.94 მლნ
5. ტაო – 2.58 მლნ
6. უნისონი – 2.20 მლნ
7. ალფა – 1.87 მლნ
8. ჰუალინგ დაზღვევა – 1.45 მლნ
9. საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი 1.28 მლნ
10. ირაო – 1.19 მლნ
11. კამარა – 1.07 მლნ
12. არდი დაზღვევა – 0.71 მლნ
13. პსპ დაზღვევა – 0.56 მლნ
14. პრაიმი – 0.35 მლნ
15. ქართუ 0.233
16. ევროინსი – (0.90 მლნ)
17. გლობალ ბენეფიტს ჯორჯია – (0.099) მლნ

gbc.ge



# „ლარის გაუფასურება ეროვნული ბანკის ბრალია“

## რომან გოცირიძე: „ქობულია არის ერთადერთი მინისტრი, რომელიც გააგდეს“

ნონა ცაბაძე



ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ-ეკონომიკურ საკითხებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე **რომან გოცირიძე** პასუხობს.

***— ბატონო რომან, ლარი გაუფასურებას განაგრძობს, პრობლემები იზრდება. არც ეკონომიკის მინისტრის გაშვებამ გვიშველა და არც ახლის დანიშვნამ. რა ხდება, რა პრობლემების წინაშე ვდგავართ?***

— მთავრობას არავითარი გეგმა არა აქვს ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის. აგერ ისე გაათავისუფლეს ეკონომიკის მინისტრი, რომ რაიმე ოფიციალური, ლოგიკური და გასაგები ახსნა არ მომისმენია მთავრობის მხრიდან. ისინი აცხადებდნენ, რომ მინისტრი აფერხებდა ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტას და ეს მძიმე ეკონომიკური ვითარება მას გადააბრალეს და მას შეახოცეს ხელი.

გადაბრალება ერთია და ფაქტი მეორე, რომ ამით აღიარეს ეკონომიკაში არსებული პრობლემები. მეორე მხრივ, თავად ეკონომიკის მინისტრი პირდაპირ ამბობს, რომ მასზე ხდებოდა არაფორმალური ზეწოლა. რომ სწორი გადაწყვეტილებები ეწირებოდა პოლიტიკურ მიზანშეწონილობას.

***— ანუ?***

— ანუ მას ავალებდნენ ისეთ რამეს, რომელსაც აფერხებდა და რაღაცებს არ უსრულებდა არაფორმალურ მმართველს. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც მინისტრის გათავისუფლება უნდოდათ, მათ სურდათ, თავისი სურვილით წასულიყო ლამაზად, საკუთარი განცხადების საფუძველზე. თუმცა მინისტრი მოიქცა წესიერად, არ მოატყუა საზოგადოება და თქვა, რომ ჩემი ნებით არ მივდივარ და თუ გინდათ გამათავისუფლეთო.

ეს არის ერთადერთი მინისტრი, რომელიც გააგდეს. ჩვენ ვუთმობთ პარლამენტის ტრიბუნას ყოფილ ეკონომიკის მინისტრს, მას შეუძლია მოვიდეს პარლამენტში ჩვენი ფრაქციის გაფართოებული სხდომის ფორმატში და მას შეუძლია თქვას ის, რის თქმასაც აპირებდა კომიტეტის სხდომაზე. მას შეეძლება ისაუბროს მისი გადაყენების მიზეზებზე.

***— არც მისი წასვლის შემდეგ გაუმჯობესებულა სიტუაცია.***

— მიუხედავად იმისა, რომ 4,8% იყო მატება პირველ კვარტალში, ეს არ მოქმედებს არც სიღარიბის შემცირებაზე, არც პრობლემების გადაჭრაზე. ფაქტი ერთია, რომ უკვე მეშვიდე წელიწადი მიდის და ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ ყოფილა, რომ რომელიმე წელიწადს ეკონომიკური ზრდა ყოფილიყო თუნდაც 5%-იანი.

ქვეყანა კვლავ განწირულია სიღარიბისთვის. ასევე ძალიან საგანგაშოა ის ფაქტი, რომ ლარი ასე უფასურდება.

***— რა ახდენს ლარზე ასეთ სერიოზულ ზეწოლას?***

— ლარი გაუფასურდა მაისში, მაშინ, როდესაც ლარს ახასიათებს საკმაოდ კარგი სეზონური გამყარება. წელს კი გაუფასურების ეს ტენდენცია დაიწყო ძალიან ადრე.

***— რა არის ამის გამომწვევი მიზეზი?***

— ამაში პირდაპირ არის დამნაშავე საქართველოს ეროვნული ბანკი, რომელიც მუდამ ერთსა და იმავე შეცდომებს უშვებს. როდესაც სხვადასხვა გარე ფაქტორების გამო ლარი იწყებს გამყარებას, მათ ჰგონიათ, რომ ეს არის უკვე ხანგრძლივი ტენდენცია და ის ხელს უშლის რეალური კურსის ჩამოყალიბებას. იწყებს ინტერვენციებს, დოლარების შესყიდვას რეზერვების გასაზრდელად, ჰგონია, რომ ეს ტენდენცია შენარჩუნდება.

გარდა ამისა, ის ხელს უშლის ლარის გამყარების პროცესს და ლარის კურსის ნამდვილ ფორმირებას. ლარის კურსი არ არის მცურავი კურსი.

***— აბა რა არის?***

— ეს არის მართვადი კურსი, რომელიც დამოკიდებულია ეროვნულ ბანკზე და ეროვნული ბანკის სურვილზე, გაზარდოს თუ არა უცხოური ვალუტის რეზერვები. მოკლე პერიოდში ეს სერიოზულ ზეგავლენას ახდენს ლარის კურსზე და ასუსტებს მას.

ლარიზაციის გეგმამაც არ გაამართლა, როდესაც მიზანმიმართულად ცდილობენ მიმოქცევიდან დოლარის განდევნას. ეს უნდა ხდებოდეს ბუნებრივად, ყველანაირი ზეწოლის გარეშე ვალუტაზე. ლარი არის მთავარი წყარო დედოლარიზაციის და არა — იძულებითი მარეგულირებელი ნორმების დაწესება ეროვნული ბანკის მხრიდან.

ახლა ლარიზაციის ამ პოლიტიკის ფარგლებში გაზარდეს კომერციული ბანკების მიერ მოზიდული, უცხოური ვალუტის სავალდებულო რეზერვები. თუ იყო 25%, ახლა გახდა 30%. კომერციულ ბანკებს ახლა უწევთ რეზერვების შესავსებად დოლარების მობილიზება.

***— ანუ ახალმა რეგულაციებმა არ გაამართლა?***

— ყველა ეს რეგულაცია საქართველოს ნელ-ნელა ამსგავსებს ჩვეულებრივ პოსტსაბჭოთა ქვეყანას, ისეთს, როგორიც არის ჩვენ მეზობლად. ყველაფრის დარეგულირებას უხეში ჩარევებით ცდილობენ და ამ დროს აფუჭებენ საქმეს. თუ ყველაფერს არეგულირებენ, მაშინ ლარის სტაბილურობაც დაარეგულიროს მთავრობამ. მაგრამ ეს არ გამოვა, რადგან როდესაც მეტია რეგულირება, ეკონომიკას აკლია მოქნილობა და ამ შემთხვევაში უფრო დიდია რისკები.

ასე რომ, პირდაპირ ეროვნული ბანკის ბრალია დღეს არსებული მდგომარეობა.

***— ეს გავლენას არ მოახდენს ფასებზე?***

— მოახდენს. ამან უკვე მოახდინა სერიოზული გავლენა საწვავის ფასზე, რომელიც 15 თეთრით გაიზარდა. ძირითადი მიზეზი, კი ბატონო, მსოფლიოს ბაზარზე ნავთობის ფასის ზრდა არის, მაგრამ ამაზე სერიოზულად მუშაობს გაუფასურებული ლარი.

# „ხრუშჩოვკების“ ჩანაცვლებაზე „ვარკეთილი დეველოფმენთმა“ გაიმარჯვა

ე.წ. ხრუშჩოვკების ჩანაცვლების პროექტზე გამოცხადებულ ინტერესთა გამოხატვაში „შპს ვარკეთილი დეველოფმენთმა“ გაიმარჯვა. ხელშეკრულების პირობების მიხედვით, კომპანიამ არაუგვიანეს 3 წლის ვადაში უძრავი ქონება დასრულებული სახით უნდა გადასცეს მუნიციპალიტეტს. უშუალოდ მშენებლობა კი დოკუმენტის გაფორმებიდან 6 თვის ვადაში უნდა დაიწყოს.

როგორც „კომერსანტს“ ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურში განუცხადეს, ინტერესთა გამოხატვაში რამდენიმე კომპანიამ მიიღო მონაწილეობა, გამარჯვებულმა მოთხოვნები სრულად დააკმაყოფილა.

— მოგეხსენებათ, აღნიშნული ინტერესთა გამოხატვა უკვე მეორედ ჩატარდა, რადგან პირველი მცდელობა წარუმატებლად დასრულდა — ჩავარდა, ახლა კი გვყავს გამარჯვებული. მთავარი კრიტერიუმი გახლდათ მაქსიმალური ფართების გადაცემა და საგარანტიო პირობების სრულად შესრულება. რაც შეეხება უშუალოდ „შპს. ვარკეთილი დეველოფმენთს“, აქამდე მასთან საქმიანი ურთიერთობები არ გვქონია და ხრუშჩოვკების ჩანაცვლება იქნება პირველი, — განმარტავს ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის ინვესტიციების მოზიდვისა და ხელშეწყობის განყოფილების მთავარი სპეციალისტი ივანე მესხი.

„კომერსანტის“ კითხვაზე გამოცხადებულ ინტერესთა გამოხატვაში რამდენმა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა, ივანე მესხმა განაცხადა, რომ განცხადებები დახურული კონვერტის სახით შემოდიოდა, ამიტომ ზუსტი ციფრი უცნობია:

— ვიცით ის, რომ ბევრ კომპანიას არ მიუღია მონაწილეობა. მაქსიმუმ 10-მდე კომპანიამ შემოიტანა განაცხადი, რაც გასაგებია. საუბარია დიდი მოცულობის სამშენებლო პროექტზე, რასაც მცირე და საშუალო ზომის კომპანიები ვერ გასწვდებიან.

ჩვენ ასევე დავინტერესდით, გამარჯვებულ კომპანიას რა გამოცდილება აქვს და რამდენი ხანია, რაც ის ბაზარზე ოპერირებს. როგორც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდზე ვკითხულობთ შპს „ვარკეთილი დეველოფმენთ“ მიმდინარე წელს, 2019 წლის 12 მარტს დარეგისტრირდა (შეგახსენებთ, ე.წ. ხრუშჩოვკების ჩანაცვლებაზე ინტერესთა გამოხატვა დაახლოებით ამავე პერიოდი გამოცხადდა), თუმცა რა გამოცდილების ან პრივილეგიის საფუძველზე მოიპოვა დედაქალაქის მთავრობის ნდობა, ჩვენთვის უცნობია.



ცნობილია ის, რომ კომპანიის დირექტორი დიმიტრი ადამია გახლავთ, რომელიც პარალელურად კომპანიის 50 %-იანი წილის მფლობელია. როგორც კომერსანტმა გაარკვია, საპრეზიდენტო არჩევნებში მან სალომე ზურაბიშვილის სასარგებლოდ 60.000 ლარი შესწირა, „ქართულ ოცნებას“ კი 2016 წლის არჩევნებში 30 ათასი ლარი.

დანარჩენ 50 %-ს კი თენგიზ წულაია ფლობს, რომელმაც ასევე სალომე ზურაბიშვილს 60.000 ლარი გადაურიცხა, ხოლო 2016 წელს საპარლამენტო არჩევნებში „ქართულ ოცნებას“ 50 ათასი ლარი.

ცნობისთვის, ორივე მფლობელი შპს არქის ჯგუფის მეწილეები არიან.

შეგახსენებთ, „ხრუშჩოვკების“ ჩანაცვლებაზე ინტერესთა გამოხატვა მიმდინარე წლის 30 იანვარს გამოცხადდა. პროექტი 3 ჰა ტერიტორიაზე, დაახლოებით 75 ათას კვ.მ-ის ფართობზე უნდა განხორციელდეს. თავის დროზე თბილისის მერმა, კახა კალაძემ კერძო სექტორს დაინტერესებისკენ ამგვარად მოუწოდა:

— სამ ჰექტარ ტერიტორიაზე, დაახლოებით 75 ათასი კვადრატული მეტრის ფართი უნდა აშენდეს. შემოსათავაზებელი ფართები მინიმუმ 7 500 კვადრატული მეტრია. გამარჯვებული იქნება ის, ვინც უფრო მეტ ფართს შემოგვთავაზებს. დარწმუნებული ვარ, რომ ინტერესი საკმაოდ მაღალი იქნება და, შესაბამისად, ჩვენ იმ ოჯახების დაკმაყოფილებას შევძლებთ, ვინც წლების განმავლობაში ავარიულ სახლებში ცხოვრობს. ამ კონკრეტულ პროექტთან დაკავშირებით, ინფორმაცია მერიის ვებგვერდზე იქნება განთავსებული. თუ დამატებითი ინფორმაცია დაგჭირდებათ, შეგიძლიათ ეკონომიკის განვითარების საქალაქო სამსახურს მიმართოთ.

# მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის ახალი პროექტი „ვაზისუბნის მამული“ გურჯაანში სექტემბერში დასრულდება

მამუკა ხაზარაძე და ბადრი ჯაფარიძე გურჯაანში ყურძნის გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობას სექტემბერში დაასრულებენ. ამის შესახებ „კომერსანტს“ გურჯაანის მერმა არჩილ ხანდამაშვილმა განუცხადა. მისი ინფორმაციით, ამჟამად სამშენებლო პროცესი დასასრულისკენ მიდის. ხანდამაშვილის ინფორმაციით, ბიზნესმენების კუთვნილ „ვაზისუბნის მამულში“ დაგეგმილია სამეღვინეო-ტურისტული ცენტრის მშენებლობაც, რომლის დასრულებაც უახლოეს თვეებში იგეგმება.

— ის ტერიტორია, სადაც კომპანია „ვაზისუბნის მამული“ ტურისტულ კომპლექსს აშენებს, იდეალური ადგილია ვიზიტორებისთვის. კომპლექსის ტერიტორიაზე გაშენებულია ვენახები, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ ვართ მეღვინეობის მუნიციპალიტეტი და ამ სახელს აუცილებლად შევინარჩუნებთ. გურჯაანში ერთ-ერთი მაგნიტი და მიზიდულობის ცენტრი გვიჩნდება ტურისტებისთვის, — აღნიშნავს ხანდამაშვილი.

როგორც ცნობილია, ყურძნის გადამამუშავებელი ქარხნის პროექტში კომპანია „ვაზისუბნის მამული“ დაახლოებით 2.500.000 ლარის ინვესტიციას ახორციელებს. ახალი საწარმოს ასაშენებლად კომპანიამ, სოფელ ვაზისუბანში, 2018 წლის ივლისში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 15.729 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ელექტრონულ აუქციონზე, საინვესტიციო პირობებით, 84.000 ლარად იყიდა. მაშინ ითქვა, რომ საწარმო ყურძენს როგორც საკუთარი ვენახებიდან, ასევე ადგილობრივი მოსახლეობისგანაც ჩაიბარებს.

კომპანია „ვაზისუბნის მამული“ ბიზნესმენებმა მამუკა ხაზარაძემ და ბადრი ჯაფარიძემ 2013 წელს დააფუძნეს.

კომპანია „ვაზისუბნის მამული“ განახლებულ ძლიერი სამეღვინეო-ტურისტული ცენტრის შექმნას ითვალისწინებს. შპს „ვაზისუბნის მამულის“ კომპანიად ჩამოყალიბება სულხან ჭავჭავაძის სამეურნეო და კულტურული ტრადიციების აღდგენის პროცესს უკავშირდება. ეს პროცესი 2011 წელს დაიწყო.

კომპანია ღვინოს და ალკოჰოლურ სასმელებს 2 ბრენდით „ვაზისუბნის მამული“ და Georgian Sun — აწარმოებს. აქვს საკუთარი ვენახები. ექსპორტზე ქართული ღვინო მსოფლიოს 5 ქვეყანაში გააქვს.



კომერსანტი

# მამუკა ბახტაძე: „ეკონომიკის სამინისტრო ინვესტორებს ერთი ფანჯრის პრინციპით მოემსახურება“

საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო ინვესტორებს ერთი ფანჯრის პრინციპით მოემსახურება. აღნიშნული სიახლე პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ გააჟღერა.

ამასთან, პრემიერის თქმით, ის დღეს ნათია თურნავას მოადგილეებსაც დაამტკიცებს.

— შემოგვაქვს ახალი ძალიან მნიშვნელოვანი მოადგილის შტატი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ინვესტიციებზე, ზოგადად ინვესტორებთან ურთიერთობაზე, მათ შორის არა მხოლოდ ინვესტიციებამდე პერიოდში, არამედ ინვესტიციების განხორციელების შემდეგ პერიოდში. ეს არის მნიშვნელოვანი სიახლე. ჩვენ რამდენიმე თვე ვმუშაობდით, რომ ეს შედეგი მიგვეღო. ეს მოადგილე ასევე პასუხისმგებელი იქნება სხვა უწყებებთან კოორდინაციაზე, ვინაიდან, ბუნებრივია, ინვესტორებს სხვა უწყებებთანაც უწევთ მუშაობა. ჩვენ ამ პრაქტიკას შევზღუდავთ და ეს იქნება ერთი ფანჯრით მომსახურების პრინციპი, სადაც მხოლოდ ეკონომიკის სამინისტრო იქნება პასუხისმგებელი ინვესტორებთან ურთიერთობებზე, — განაცხადა პრემიერმა და იქვე აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი ფოკუსი გაკეთდება თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმზე ევროკავშირთან და იმ პერსპექტიული და პრიორიტეტული მომსახურებებისა და საქონლის ჩამონათვალის გამოყოფა მოხდება, რომელზეც ქვეყანამ მომავალში აქცენტი უნდა გააკეთოს და მისი სავაჭრო ბრუნვა გაზარდოს.

კომერსანტი

# საპენსიო შენატანებს 1.2 მლნ-ზე მეტი სარგებელი დაერიცხა

დაგროვებით საპენსიოო შენატანებს 1.25 მლნ სარგებელი დაერიცხა. სულ, ფონდში უკვე 220 მილიონია.

სისტემას 771.000 ბენეფიციარი ჰყავს (51.000 კომპანიიდან) 300.000, 40 წელს გადაცილებულია. 38.000 სისტემაში დარჩენას აღარ აპირებს.

როგორც იცით, ხანდაზმულებს (40წ ასაკის) გასვლა, შესვლიდან, მე-4, მე-5 თვეს შეუძლიათ. ასევე გადაფიქრება, თუ გასვლის შესახებ განაცხადი უკვე შეტანილი აქვს. სააგენტოს ცნობით, გადაწყვეტილების გაუქმების ფაქტები მრავლადაა.

GBC

# საქართველოს მოქალაქეების მიერ საფრანგეთში ჩადენილი დანაშაულის გამოძიებაში ორი ქართველი ოფიცერი ჩაერთვება

უახლოეს პერიოდში საქართველოს ორი ოფიცერი პირდაპირ ჩაერთვება ფრანგული პოლიციის გამოძიების პროცესში, როდესაც საქართველოს მოქალაქეები საფრანგეთის ტერიტორიაზე დანაშაულს ჩაიდენენ.

ამის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი გახარიამ ფრანგ კოლეგასთან, კრისტოფ კასტანერთან შეხვედრის შემდეგ 10 მაისს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

– ჩვენ განვიხილეთ ის გამოწვევები, რომელთაც ერთად უნდა ვუპასუხოთ. პირველ რიგში, ეს გახლავთ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა, მეორე, ეს არის თავშესაფრის მაძიებელთა პრობლემის გადაწყვეტის მექანიზმები. მოგეხსენებათ, რომ უვიზო მიმოსვლა არის ყველაზე დიდი მიღწევა ბოლო წლების განმავლობაში და ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების.

ჩვენ გვაქვს ძალიან კარგი ბაზა ორგანიზებულ დანაშაულთან საბრძოლველად. დღეს მოვაწერეთ ხელი შეთანხმებას, რომელიც ხელს შეუწყობს, რომ ეს ბრძოლა გახდოს კიდევ უფრო ეფექტური. უახლოეს პერიოდში საქართველოს ორი ოფიცერი პირდაპირ ჩაერთვება ფრანგული პოლიციის გამოძიების პროცესში. განსაკუთრებით იმ ნაწილში, როდესაც საქართველოს მოქალაქეები ჩაიდენენ დანაშაულს საფრანგეთის ტერიტორიაზე, – განაცხადა საქართველოს შს მინისტრმა.




საქართველოში საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრის ოფიციალური ვიზიტი მიზნად ისახავს საქართველოსა და საფრანგეთს შორის საპოლიციო და სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის შემდგომ გაღრმავებას. საფრანგეთთან საპოლიციო თანამშრომლობის გაძლიერებას საფუძვლად დაედო ერთი წლის წინ გიორგი გახარიას შეხვედრა პარიზში ფრანგ კოლეგასთან, ჟერარ კოლომბთან.

გიორგი გახარიამ ფრანგ კოლეგას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გატარებული და დაგეგმილი ღონისძიებები გააცნო. კრისტოფ კასტანერმა დადებითად შეაფასა ფრონტექსსა და ევროპოლთან არსებული თანამშრომლობა და საქართველოს პოლიციის ატაშეების ქსელის გაფართოება.

მხარეებმა ორი ქვეყნის საპოლიციო სფეროში თანამშრომლობის შესახებ სამომავლო გეგმები დასახეს.

ძალოვანმა მინისტრებმა ჟურნალისტების შეკითხვებსაც უპასუხეს.

# როენა ხუცურაული გამოუშვეს



პროსტიტუციის ხელშეწყობისა და პროსტიტუციისთვის ფართის გადაცემის ბრალდებით დაკავებულ სასტუმრო „მამიდას“ მფლობელს, როენა ხუცურაულსა და მასთან ერთად დაკავებულ კიდევ ერთ პირს, სასტუმროს მეიჯარე ზინაიდა ქორიძეს აღკვეთის ღონისძიების სახით გირაო შეეფარდათ.

როენა ხუცურაულს 30.000 ლარიანი, ზინაიდა ქორიძეს კი 20.000 ლარიანი გირაო შეეფარდათ.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოსამართლე ნიკოლოზ მარგველაშვილმა 10 მაისის სასამართლო სხდომაზე გამოაცხადა.

პროკურორ შმაგი გობეჯიშვილის განცხადებით, დაკავებულებისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შეფარდების საფუძველი მათ მიერ დანაშაულის აღიარება და მონანიება გახდა.

აღნიშნულის შესახებ გობეჯიშვილმა პროცესის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა.

– იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდებულებმა ბრალად წარდგენილი ქმედებები აღიარეს და მოინანიეს აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედება, ასევე მზაობა გამოხატეს გამოძიებასთან თანამშრომლობის, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, მათ მიმართ გამოყენებულიყო გირაო.

გარდა ამისა, ყველა ის ობიექტი, სადაც ხდებოდა დანაშაულებრივი ქმედება, დალუქულია, შესაბამისად, ვეღარ განხორციელდება ახალი დანაშაულებრივი ქმედება.

ეს პირები დანაშაულებრივ ქმედებას აღიარებენ, თავს დამნაშავედ ცნობენ, შესაბამისად, რაზე უნდა მოახდინონ ზემოქმედება? – განაცხადა გობეჯიშვილმა.

საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე საუბარი პროკურორმა ნაადრევად მიაჩნია, ვინაიდან საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს.

როენა ხუცურაულმა პროცესის მსვლელობის დროს მიიღო გადაწყვეტილება, დანაშაული ეღიარებინა და ჩვენც მისი პოზიცია გავიზიარეთ.

ამის შესახებ ჟურნალისტებს მისმა ადვოკატმა, არჩილ დვალიშვილმა განუცხადა.

მისი განმარტებით, სასამართლომ სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღო.

– ჩვენ გვქონდა მასთან შეთანხმებული პოზიცია, მაგრამ მოხდა ისე, რომ ბრალდებულმა თვითონ მიიღო გადაწყვეტილება ბრალდების აღიარებასთან დაკავშირებით. ჩვენ გირაოს მოთხოვნასთან დაკავშირებით მიმართვა გვქონდა გაცხადებული. სასამართლომ სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღო.

აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული გირაო არ ნიშნავს, რომ მის მიმართ საბოლოო გადაწყვეტილებაა მიღებული, ვინაიდან არსებითი განხილვები წინ არის.

პროცესის მსვლელობის დროს მიიღო გადაწყვეტილება, დანაშაული ეღიარებინა და ჩვენც მისი პოზიცია გავიზიარეთ. ბრალდების ნაწილში დაეთანხმა, მოინანია ქმედება, დანარჩენს გამოძიება დაადგენს. მთავარია, რომ აღკვეთი ღონისძიება, პატიმრობა არ შეეფარდა, – განაცხადა დვალიშვილმა.

დაკავებულებს ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 254-ე მუხლით აქვთ წარდგენილი, რაც პროსტიტუციის ხელშეწყობას გულისხმობს.

ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლების მიერ დაკავებულია: სასტუმრო „მამიდას“ მფლობელი, 1960 წელს დაბადებული რ. ხ. მეტსახელად „მამიდა“, ამავე სასტუმროს მოიჯარე, 1972 წელს დაბადებული ზ. ქ. მეტსახელად „სალომე“ და სასტუმრო „გოლდის“ მფლობელი, 1976 წელს დაბადებული ნ. დ.

მათ მიერ ჩადენილი დანაშაული 2-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიების ფარგლებში, მოსამართლის განჩინების საფუძველზე ჩატარებული ფარული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად დადგინდა, რომ დაკავებულები, თავიანთ კუთვნილ სასტუმროებში ფართს, პროსტიტუციის ხელშეწყობის მიზნით, სისტემატურად აქირავებდნენ. გამოძიება მიმდინარეობს პროსტიტუციის ხელშეწყობის და წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ სასტუმროს ნომრების პროსტიტუციისთვის გადაცემის ფაქტებზე, საქართველოს სსკ-ის 254-ე მუხლის 1-ელი ნაწილით, ასევე, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა“ და ,,გ“ ქვეპუნქტებით.

აღსანიშნავია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიმდინარე წლის მარტში, აღნიშნული ბრალდებით, მოსამართლის განჩინების საფუძველზე ორი პირი დააკავა. კერძოდ, სასტუმრო „მამიდას“ ადმინისტრატორი, 1981 წელს დაბადებული მ. დ., სასტუმრო „მზის“ მფლობელი და ადმინისტრატორი, 1951 წელს დაბადებული გ. ა. – მეტსახელად „ფისო“.

# ნათია მეზვრიშვილი: „ცივ იარაღს არასრულწლოვანები ვეღარ იყიდიან“

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ნათია მეზვრიშვილმა, სამინისტროს მიერ 10 მაისს ინიცირებული, ცივი იარაღის შესახებ ახალ კანონპროექტთან დაკავშირებით დეტალური განმარტება გააკეთა.

ნათია მეზვრიშვილის თქმით, ახალი კანონპროექტი გაყიდვის საკითხებს არეგულირებს და აკრძალავს ცივი იარაღის გაყიდვას არასრულწლოვანებზე.

– ცივ იარაღთან დაკავშირებით რამდენიმე ფაქტორი იყო, რომლის გამოც საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება გადავწყვიტეთ. ძალიან მნიშვნელოვანი საკანონმდებლო პაკეტია, რომელსაც დღეს მთავრობამ მხარი დაუჭირა და იმედია, რომ პარლამენტიც მხარს დაუჭერს, – განაცხადა შს მინისტრის მოადგილემ.

მისი თქმით, კანონპროექტის მიზანია საზოგადოებრივი უსაფრთხოების კიდევ უფრო მეტად უზრუნველყოფა და ამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კიდევ უფრო გააქტიურება.

– პრაქტიკაში პოლიცია არის მეტად აქტიური ცივი იარაღების ტარების გამოვლენის კუთხით. მაგალითად, მიმდინარე წელს, ჩვენ სხვადასხვა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედების ჩატარების შედეგად, ასობით ცივი იარაღი გვაქვს ამოღებული. გარდა ამისა, ეს გახლდათ საზოგადოების მოთხოვნა, რაზეც არაერთხელ ყოფილა საუბარი. ჩვენ ეს მოთხოვნა გავითვალისწინეთ.

გამოვლენის მხრივ აქტიურობასთან ერთად, გადავწყვიტეთ ის ვაკუუმი შეგვევსო, რაც საკანონმდებლო დონეზე არსებობს, განსაკუთრებით ცივი იარაღით ვაჭრობის მიმართულებით, გაყიდვის მიმართულებით.

დღეს კანონით ისჯება ტარება როგორც ადმინისტრაციული წესით, ისე სისხლის სამართლის წესით, მაგრამ გაყიდვის საკითხები სათანადოდ არ არის დარეგულირებული, რის გამოც ცივი იარაღი არის ადვილად ხელმისაწვდომი არასრულწლოვნებისთვის, – აღნიშნა




ნათია მეზვრიშვილმა.

ამიტომ ამ კანონპროექტის უპირველესი მიზანი გახლავთ ცივ იარაღზე არასრულწლოვანების ხელმისაწვდომობის შეზღუდვა, იმიტომ, რომ დღეს გაყიდვა შეუძლია ყველას და ამასთანავე ცივი იარაღი იყიდება ყველგან, მათ შორის სკოლების ტერიტორიაზე, რაც, ბუნებრივია, არასრულწლოვანებისთვის მარტივად ხელმისაწვდომს ხდის მას.

– ახალი კანონი გაყიდვის საკითხებს არეგულირებს, აკრძალავს ცივი იარაღის გაყიდვას არასრულწლოვანზე, ასევე, გარკვეულ რისკ-ჯგუფებზე, მათ შორის, მაგალითად, ნასამართლევ პირებზე.

მეორე მნიშვნელოვანი კომპონენტი ამ კანონპროექტის არის ის, რომ ტარებისთვის მკაცრდება როგორც ადმინისტრაციული, ისე სისხლისსამართლებრივი სანქციები.

საკანონმდებლო ცვლილებები გაყიდვის ნაწილში არ ეხება საოჯახო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების დანებს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ამას უკავშირდება – რა თქმა უნდა, ეს საკანონმდებლო ცვლილებები არ ნიშნავს იმას, რომ დანებით დანაშაულის ჩადენის აბსოლუტური პრევენცია მოხდება. ეს საკანონმდებლო ცვლილებები უბრალოდ ნიშნავს იმას, რომ მაქსიმალურად შეიზღუდება წვდომა ცივ იარაღზე, განსაკუთრებით არასრულწლოვანების ნაწილში, – განაცხადა ნათია მეზვრიშვილმა.

# ხაშურში ვ.ბ. ცოლის მკვლელობისთვის დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ხაშურში მომხდარი მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია 1 პირი

„შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივებისა და ხაშურის რაიონული სამმართველოების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დამამძიმებელ გარემოებაში




ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით, 1976 წელს დაბადებული ვ.ბ. ცხელ კვალზე დააკავეს. ჩადენილი დანაშაული 13-დან 17 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მეუღლეს – 1964 წელს დაბადებულ ლ.ბ.-ს, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, მჩხვლეტავი საგნის გამოყენებით, ყელის არეში მრავლობითი ჭრილობები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

ქალი ადგილზე გარდაიცვალა.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება დამამძიმებელ გარემოებაში ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილ განზრახ მკვლელობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 11 პრიმა 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს“ – აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.



# სენაკის სკოლაში 18 ბავშვი მოიწამლა

## მოზარდები საავადმყოფოში გადაიყვანეს

სენაკის მეორე საჯარო სკოლაში 18 ბავშვი მოიწამლა.

„ნიუპოსტის“ ცნობით, მოზარდებმა მწვავე სუნი იგრძნეს, თუმცა რას უკავშირდება მათი ინტოქსიკაცია, ჯერჯერობით უცნობია.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 124-ე მუხლით დაიწყო, რაც ჯანმრთელობის მძიმე და ნაკლებად მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

# რუსთავის სკოლაში 15 მოსწავლე მოიწამლა

რუსთავში, ერთ-ერთ საჯარო სკოლაში, 15 მოსწავლე მოიწამლა.

როგორც ცნობილი გახდა, ბავშვებმა სკოლის ბუფეტში ლობიანი ჭამეს, რაც მათი ინტოქსიკაციის მიზეზი გახდა.

მოსწავლეები საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა ისინი მალევე გაწერეს.



# კურტ ვოლკერი: აშშ უკრაინას ყოველმხრივ მხარს უჭერს!



აშშ-ის პრეზიდენტის სპეცწარმომადგენელმა დონბასის კონფლიქტის მოგვარების საკითხებში კურტ ვოლკერმა განაცხადა, რომ აშშ უკრაინას მხარს უჭერდა და მომავალშიც ასე იქნება.

— უკრაინამ თავისი არჩევანი გააკეთა. ესაა დამოუკიდებლობა, ტერიტორიული მთლიანობა, ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანება! — თქვა ვოლკერმა.

ამერიკელმა დიპლომატმა ხაზი გაუსვა, რომ ეს უკრაინელი ხალხის არჩევანია. არც ერთ ქვეყანას არ აქვს უფლება, ამას ძალისმიერი მეთოდები დაუპირისპიროს.

# ჩერნოგორიაში რუსული გრუ-ს 2 ოფიცერი გაასამართლეს



9 მაისს ჩერნოგორიაში 2016 წლის სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის მონაწილენი გაასამართლეს. მათ შორის იყვნენ როგორც ადგილობრივი პრორუსული პარტიების აქტივისტები, ასევე რუსული გრუ-ს ორი ოფიცერი, შიშმაკოვი და პოპოვი.

მათი დაპატიმრება ვერ მოხერხდა, ამიტომ ორივეს სასჯელი დაუსწრებლად გამოუტანეს.

შიშმაკოვს — 15, პოპოვს კი 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

# ბრიტანელის მიერ დაჭერილ თევზს მუცელში ოქროს ბეჭედი აღმოაჩნდა



დიდი ბრიტანეთის ქალაქ რაგბიში მამაკაცმა თავის მეგობარ გოგონას ხელი მას შემდეგ სთხოვა, რაც ამ უკანასკნელმა მის მიერ დაჭერილი თევზის მუცელში ოქროს ბეჭედი იპოვა.

კრისტოფერ ეგინტონი და სანდრა ბიდგუდი ლინკოლნშირის საგრაფოს აღმოსავლეთ ნაწილში თევზაობდნენ. მათ ბევრი თევზი დაიჭირეს, თუმცა მათი დიდი ნაწილის ისევ მდინარეში გაშვება გადაწყვიტეს. თავისთვის კი მხოლოდ ორი თევზი დაიტოვეს.

საღამოს სანდრამ სადილის მოსამზადებლად თევზების დამუშავება დაიწყო. მოულოდნელად კრისტოფერს მისი სიხარულის ყვირილი შემოესმა, მისკენ მიტრიალდა და დაინახა, რომ ქალს ხელში ოქროს ბეჭედი ეჭირა. მამაკაცმა იმ წამსვე ხელი სთხოვა შეყვარებულს და მისგან თანხმობა მიიღო.

მამაკაცის მტკიცებით, მას ბეჭედი თევზში არ დაუმალია, როგორც ჩანს, მან ის მანამდე გადაყლაპა, სანამ დაიჭერდნენ. ის დიდი ხანია სანდრაზე დაქორწინებას აპირებდა, თუმცა გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმას ვერ ბედავდა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ტრამპი თავდაცვის მდივნად პატრიკ შანაჰანს წარადგენს



აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ქვეყნის თავდაცვის მდივნის კანდიდატურასთან დაკავშირებით ჩამოყალიბდა და ის ამ თანამდებობაზე სენატს პატრიკ შანაჰანს წარუდგენს, რომელიც ამ დროისთვის თავდაცვის მდივნის მოვალეობის შემსრულებელია, მას შემდეგ, რაც ჯეიმს მეტისმა თანამდებობა დატოვა.

როგორც თეთრი სახლის პრესმდივანმა სარა სანდერსმა „ტვიტერის“ გვერდზე დაწერა, დონალდ ტრამპი შანაჰანის დანიშვნას მისი ქვეყნისადმი გამოჩენილი სამსახურისთვის აპირებს.

სანდერსის თქმით, შანაჰანს მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის მაგისტრის ხარისხი აქვს ინჟინერიასა და ბიზნესადმინისტრირების დარგებში.

# სერგეი დორენკო დაიღუპა



9 მაისს მოსკოვში ტრაგიკულად დაიღუპა ცნობილი რუსი ჟურნალისტი სერგეი დორენკო.

დორენკო სამხედრო ოჯახში დაიბადა. დაამთავრა ლუმუმბას სახელობის ხალხთა მეგობრობის ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი. უკვე სტუდენტობის პერიოდში თანამშრომლობდა სუკ-თან. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იმყოფებოდა

სპეცმივლინებაში ანგოლაში. 1985 წლიდან ცენტრალური ტელევიზიის თანამშრომელია.

დორენკო ულტრაშოვინისტური განწყობილებებით გამოირჩეოდა. ის მოითხოვდა საქართველოს დაშლას. დორენკოს აზრით, ჩვენს ქვეყანას არა მხოლოდ აფხაზეთი და სამაჩაბლო, არამედ ჯავახეთი და აჭარაც უნდა ჩამოშორებოდა.

დორენკო ყირიმის ანექსიასაც მიესალმა. ეს, მისი აზრით, უკრაინის დაშლის დასაწყისი იყო.

— უკრაინაში ორი ერი არსებობს, პირველი რუსეთზეა ორიენტირებული, მეორე — დასავლეთზე. ამიტომ ამ ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნება შეუძლებელია. უკრაინა ორ ან, შესაძლოა, სამ ნაწილადაც უნდა დაიშალოს! სხვაგვარად მშვიდობა ვერ დამყარდება, — ამბობდა დორენკო.

დორენკო მოტოციკლიდან გადმოვარდა, თავის მძიმე ტრავმა მიიღო და გარდაიცვალა. ხელისუფლება ამტკიცებს, რომ მას ანაზდად გული გაუხდა ცუდად და მოტოციკლი ველარ დაიმორჩილა. თანახმად არაოფიციალური ინფორმაციისა, დორენკო მთვრალი იყო და ცუდადაც ამიტომ გახდა.

# ვენესუელაში პარლამენტის ვიცე-სპიკერი დააკავეს



ვენესუელის უშიშროების ძალებმა პარლამენტის ვიცესპიკერი სამბრანო დააპატიმრეს. მას სახელმწიფო გადატრიალების მოწყობაში ადანაშაულებენ.

გერმანელ პოლიტოლოგ ევერტის ცნობით, მადუროს ესოდენი გააქტიურება რუსეთის მხარდაჭერამ განაპირობა. ექსპერტი მიიჩნევს, რომ ახლო მომავალში ვენესუელის პრეზიდენტმა, შესაძლოა, მასობრივი რეპრესიები დაიწყოს.

— ამერიკელებმა რაღაც უნდა მოიმოქმედონ! პუტინი მადუროსგან მეორე ასადს ქმნის, — მიიჩნევს ევერტი.

ექსპერტის აზრით, კრემლი აპირებს, ვენესუელა აშშ-სთან ვაჭრობისთვის გამოიყენოს.

— პუტინი საკითხს კატეგორიულად სვამს: ან ვენესუელაში პრორუსული რეჟიმი იქნება, ან პოსტსაბჭოთა სივრცე (ბალტიისპირეთის გარდა) რუსეთის გავლენის ზონად უნდა აღიარონ, — ამბობს ევერტი.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# განცხადებები

**შევისყიდით წიგნებს!**

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი — სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ინგლისში ჩემპიონს ელიან — სიტი თუ ლივერპული?

## სტატისტიკა, ფსონები

ამ უქმეებზე ჩემპიონს ინგლისში გაარკვევენ. ნისლიან ალბიონზე ბოლო ტურია. მთავარი ფავორიტად სიტი ჩრება, ამიტომაც, იქაური ფეხბურთის ასოციაციის გადაწყვეტილებით, თასს ბრაიტონში ჩაიტანენ. თუმცა, რამე სენსაციური რომ მოხდეს? ამიტომ, ენფილდზე ასლი იქნება გამზადებული. ჩვენ კი დაველოდოთ, რა მოხდება. საინტერესო მატჩები სხვა ქვეყნებშიც არის მოსალოდნელი.



### ინგლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 12.05 ბარნლი-არსენალი | 3.05 | 3.65 | 2.24 |
| 12.05 ტოტენჰემი-ევერტონი | 2.24 | 3.35 | 3.30 |
| 12.05 უოტფორდი-ვესტ ჰემი | 2.30 | 3.65 | 2.95 |
| 12.05 საუთჰემპტონი-ჰადერსფილდი | 1.44 | 4.65 | 7.15 |
| 12.05 კრ.პალასი-ბორნმუთი | 1.90 | 3.90 | 3.75 |
| 12.05 ლესტერი-ჩელსი | 2.42 | 3.45 | 2.90 |
| 12.05 მანჩესტერი-კარდიფი | 1.29 | 6.00 | 9.50 |
| 12.05 ბრაიტონი-სიტი | 14.50 | 7.50 | 1.18 |
| 12.05 ლივერპული-ვულვზი | 1.32 | 5.35 | 9.50 |
| 12.05 ფულემი-ნიუკასლი | 2.58 | 3.40 | 2.75 |

**ბარნლი-არსენალი**

ბარნლი: **ტრავმ**-რობი ბრეიდი, სტივ დეფო, აარონ ლენონი

არსენალი: **ტრავმ**-არონ რემზი, ექტორ ბელერინი, რობ ჰოლდინგი, დანი უელბეკი

**ტოტენჰემი-ევერტონი**

ტოტენჰემი: **ტრავმ**-ჰარი ვინკსი, ჰარი კეინი, სერჟ ორიე

ევერტონი: **ტრავმ**-არავინ

**უოტფორდი-ვესტ ჰემი**

უოტფორდი: **ტრავმ**-სებასტიან პროდი

ვესტ ჰემი: **ტრავმ**-ანდრეი იარმოლენკო, კარლოს სანჩესი

**საუთჰემპტონი-ჰადერსფილდი**

საუთჰემპტონი: **ტრავმ**-იანიკ ვესტერგარდი, მაიკლ ობაფემი

ჰადერსფილდი: **ტრავმ**-არავინ

**კრ.პალასი-ბორნმუთი**

კრ.პალასი: **ტრავმ**-ჯეფ შლუპი, ჯეიმს ტომკინსი, მამადუ სახო

ბორნმუთი: **ტრავმ**-ჯუნიო სტანისლასი, დიეგო რიკო, ჩარლი დანიელსი, ენდრიუ სარმანი, სიმონ ფრენსისი, სტივ კუკი

**ლესტერი-ჩელსი**

ლესტერი: **ტრავმ**-დანიელ ამარტეი

ჩელსი: **ტრავმ**-ანტონიო რუდიგერი

**მანჩესტერი-კარდიფი**

მანჩესტერი: **ტრავმ**-რომელუ ლუკაკუ, ერიკ ბაილი

კარდიფი: **ტრავმ**-ჯო რალზი, სოლ ბამბა, კალუმ პატერსონი

**ბრაიტონი-სიტი**

ბრაიტონი: **ტრავმ**-არავინ

სიტი: **ტრავმ**-კევინ დე ბრუინე, კლაუდიო ბრავო

**ლივერპული-ვულვზი**

ლივერპული: **ტრავმ**-ადამ ლალანა, ნაბი კეიტა

ვულვზი: **ტრავმ**-არავინ

**ფულემი-ნიუკასლი**

ფულემი: **ტრავმ**-ტიმოთი ფოსუ-მენსა

ნიუკასლი: **ტრავმ**-დეანდრე იედინი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 37 | 31 | 2 | 4 | 91-22 | 95 |
| 2.ლივერპული | 37 | 29 | 7 | 1 | 87-22 | 94 |
| 3.ჩელსი | 37 | 21 | 8 | 8 | 63-39 | 71 |
| 4.ტოტენჰემი | 36 | 23 | 1 | 12 | 65-36 | 70 |
| 5.არსენალი | 37 | 20 | 7 | 10 | 70-50 | 67 |
| 6.მაჩესტერი | 37 | 19 | 9 | 9 | 65-52 | 66 |
| 7.ვულვზი | 37 | 16 | 9 | 12 | 47-44 | 57 |
| 8.ევერტონი | 37 | 15 | 8 | 14 | 52-44 | 53 |
| 9.ლესტერი | 37 | 15 | 6 | 16 | 51-48 | 51 |
| 10.უოტფორდი | 37 | 14 | 8 | 15 | 51-55 | 50 |
| 11.ვესტ ჰემი | 37 | 14 | 7 | 16 | 48-54 | 49 |
| 12.კრ.პალასი | 37 | 13 | 7 | 17 | 46-50 | 46 |
| 13.ბორნმუთი | 37 | 13 | 6 | 18 | 53-65 | 45 |
| 14.ნიუკასლი | 37 | 11 | 9 | 17 | 38-48 | 42 |
| 15.ბარნლი | 37 | 11 | 7 | 19 | 44-65 | 40 |
| 16.საუთჰემპტონი | 37 | 9 | 11 | 17 | 44-64 | 38 |
| 17.ბრაიტონი | 37 | 9 | 9 | 19 | 34-56 | 36 |
| 18.კარდიფი | 37 | 9 | 4 | 24 | 32-69 | 31 |
| 19.ფულემი | 37 | 7 | 5 | 25 | 34-77 | 26 |
| 20.ჰადერსფილდი | 37 | 3 | 6 | 28 | 21-75 | 15 |

### ესპანეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 12.05 ბეტისი-უესკა | 1.58 | 4.40 | 5.25 |
| 12.05 ხირონა-ლევანტე | 2.30 | 3.55 | 3.00 |
| 12.05 რაიო-ვალიადოლიდი | 4.05 | 3.70 | 1.88 |
| 12.05 ლეგანესი-ესპანიოლი | 2.54 | 3.25 | 2.90 |
| 12.05 სოსიედადი-რეალი | 2.90 | 3.70 | 2.32 |
| 12.05 ატლეტიკო-სევილია | 2.16 | 3.55 | 3.30 |
| 12.05 ვილიარეალი-ეიბარი | 1.65 | 4.15 | 4.95 |
| 12.05 ვალენსია-ალავესი | 1.40 | 4.70 | 8.00 |
| 12.05 ბარსელონა-ხეტაფე | 1.56 | 4.25 | 5.75 |
| 12.05 ბილბაო-სელტა | 2.06 | 3.30 | 3.85 |

**ბეტისი-უესკა**

ბეტისი: **ტრავმ**-ანტონიო ბარაგანი, აისა მანდი, სერხიო კანალესი

უესკა: **ტრავმ**-ხორხე მირამონი, კარლოს აკაპო, პაბლო ინსუა

**ხირონა-ლევანტე**

ხირონა: **ტრავმ**-მარკ მუნიესა, დუგლასი, კარლეს პლანასი, ადაი ბენიტესი

ლევანტე: **ტრავმ**-ჩეიკ დაკური

**რაიო-ვალიადოლიდი**

რაიო: **ტრავმ**-გორკა ელუსტონდო

ვალიადოლიდი: **ტრავმ**-არავინ

**ლეგანესი-ესპანიოლი**

ლეგანესი: **ტრავმ**-რუბენ პერესი

ესპანიოლი: **ტრავმ**-ერნან პერესი, დავიდ ლოპესი, პაბლო პიატი

**სოსიედადი-რეალი**

სოსიედადი: **ტრავმ**-დიეგო ლიორენტე, ადნან იანუზაი, დავიდ ზურუტუზა, ასიერ ილიარამენდი

რეალი: **ტრავმ**-ქარიმ ბენზემა, სერხიო რამოსი

**ატლეტიკო-სევილია**

ატლეტიკო: **ტრავმ**-ნიკოლა კალინიჩი, ხოსე ხიმენესი, დიეგო კოშტა, ლუკას ერნანდესი

სევილია: **ტრავმ**-დანიელ კარიკო, ანდრე სილვა

**ვილიარეალი-ეიბარი**

ვილიარეალი: **ტრავმ**-კარლ ტოკო ეკამბი, მიგელ ლამბრიჯი

ეიბარი: **ტრავმ**-მარკ კარდონა, რუბენ პენა, პაპაკოილ დიუპი, ანაიც არბილია, პედრო ბიგასი

**ვალენსია-ალავესი**

ვალენსია: **ტრავმ**-დენის ჩერიშევი, ჟოფრი კონდოგბია

ალავესი: **ტრავმ**-გილერმო მარიპანი, ბურგუი

**ბარსელონა-ხეტაფე**

ბარსელონა: **ტრავმ**-რაფინია

ხეტაფე: **ტრავმ**-მარკელ ბერგარა, ვიტორინო ანტუნესი, ამატ ნდიაე

**ბილბაო-სელტა**

ბილბაო: **ტრავმ**-გორკა გურუტეზა

სელტა: **ტრავმ**-არავინ

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 36 | 25 | 8 | 3 | 86-34 | 83 |
| 2.ატლეტიკო | 36 | 22 | 8 | 6 | 52-26 | 74 |
| 3.რეალი | 36 | 21 | 5 | 10 | 62-41 | 68 |
| 4.ხეტაფე | 36 | 15 | 13 | 8 | 46-31 | 58 |
| 5.სევილია | 36 | 16 | 7 | 13 | 59-46 | 55 |
| 6.ვალენსია | 36 | 13 | 16 | 7 | 46-34 | 55 |
| 7.ბილბაო | 36 | 12 | 14 | 10 | 38-42 | 50 |
| 8.სოსიედადი | 36 | 12 | 11 | 13 | 42-43 | 47 |
| 9.ესპანიოლი | 36 | 12 | 11 | 13 | 44-50 | 47 |
| 10.ალავესი | 36 | 12 | 11 | 13 | 36-46 | 47 |
| 11.ეიბარი | 36 | 11 | 13 | 12 | 44-47 | 46 |
| 12.ლეგანესი | 36 | 11 | 12 | 13 | 36-39 | 45 |
| 13.ბეტისი | 36 | 12 | 8 | 16 | 40-51 | 44 |
| 14.ვილიარეალი | 36 | 9 | 13 | 14 | 46-50 | 40 |
| 15.სელტა | 36 | 10 | 10 | 16 | 50-57 | 40 |
| 16.ლევანტე | 36 | 10 | 10 | 16 | 55-63 | 40 |
| 17.ვალიადოლიდი | 36 | 9 | 11 | 16 | 30-48 | 38 |
| 18.ხირონა | 36 | 9 | 10 | 17 | 35-49 | 37 |
| 19.რაიო | 36 | 8 | 7 | 21 | 38-66 | 31 |
| 20.უესკა | 36 | 6 | 12 | 18 | 40-62 | 30 |

### გერმანია

| | | | |
|---|---|---|---|
| 11.05 ჰოფენჰაიმი-ვერდერი | 1.50 | 5.00 | 5.40 |
| 11.05 ლევერკუზენი-შალკე | 1.37 | 5.40 | 7.50 |
| 11.05 ლაიფციგი-ბაიერნი | 4.30 | 4.10 | 1.75 |
| 11.05 შტუტგარტი-ვოლფსბურგი | 3.00 | 3.60 | 2.28 |
| 11.05 აუგსბურგი-ჰერტა | 2.44 | 3.55 | 2.80 |
| 11.05 დორტმუნდი-ფორტუნა | 1.32 | 6.00 | 8.00 |
| 11.05 ჰანოვერი-ფრაიბურგი | 2.65 | 3.60 | 2.55 |
| 11.05 ნიურნბერგი-გლადბახი | 3.65 | 3.80 | 1.96 |
| 12.05 აინტრახტი-მაინცი | 1.62 | 4.55 | 4.75 |

**ჰოფენჰაიმი-ვერდერი**

ჰოფენჰაიმი: **ტრავმ**-ჯოელინტონი

ვერდერი: **ტრავმ**-ფილიპ ბაგფრეიდი

**ლევერკუზენი-შალკე**

ლევერკუზენი: **ტრავმ**-ლეონ ბალეი, ქარიმ ბელარაბი

შალკე: **ტრავმ**-ევჰენი კონოპლიანკა, ნაბილ ბენტალები, მარკ უტი, ალესანდრო შოპფი

**ლაიფციგი-ბაიერნი**

ლაიფციგი: **ტრავმ**-დაიოტ უპამეკანო

ბაიერნი: **ტრავმ**-მანუელ ნოიერი

შტუტგარტი-ვოლფსბურგი

შტუტგარტი: **ტრავმ**-პაბლო მაფეო

ვოლფსბურგი: **ტრავმ**-ვილიამი, იგნასიო კამაჩო

**აუგსბურგი-ჰერტა**

აუგსბურგი: **ტრავმ**-ალფრედ ფინბოგასონი, ფრედრიკ იენსენი, სერჟიო კორდოვა, ფელიქს გიოტცე, რაფაელ ფლამბერგერი

ჰერტა: **ტრავმ**-ვლადიმირ დარიდა, ნიკლას სტარკი, პალ დარდაი, არნე მაიერი

**დორტმუნდი-ფორტუნა**

დორტმუნდი: **ტრავმ**-მარკო როისი, აჩრაფ ჰაკიმი

ფორტუნა: **ტრავმ**-აიმანე ბარკოკი, მარსელ სობოტკა, დავორ ლოვრენი, იან ციმერი

**ჰანოვერი-ფრაიბურგი**

ჰანოვერი: **ტრავმ**-ტაკუმა ასანო, ბობი ვუდი, ნიკლას ფულკრუგი

ფრაიბურგი: **ტრავმ**-მანუელ გულდე, ლუკას კუბლერი, ტიმ კლაინდიენსტი, როლანდ სალაი

**ნიურნბერგი-გლადბახი**

ნიურნბერგი: **ტრავმ**-ენრიკო ვალენტინი, ადამ ზრელაკი

გლადბახი: **ტრავმ**-ფაბიან იონსონი, კრისტოფ კრამერი, რაფაელი, ლარს სტინდი

**აინტრახტი-მაინცი**

აინტრახტი: **ტრავმ**-სებასტიან ჰალერი, ტალებ ტავატა, მარკ სტენდერა

მაინცი: **ტრავმ**-ისაა აბასი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 32 | 23 | 5 | 4 | 83-31 | 74 |
| 2.დორტმუნდი | 32 | 21 | 7 | 4 | 76-42 | 70 |
| 3.ლაიფციგი | 32 | 19 | 8 | 5 | 62-27 | 65 |
| 4.აინტრახტი | 32 | 15 | 9 | 8 | 59-41 | 54 |
| 5.ლევერკუზენი | 32 | 17 | 3 | 12 | 63-50 | 54 |
| 6.გლადბახი | 32 | 15 | 7 | 10 | 51-40 | 52 |
| 7.ვოლფსბურგი | 32 | 15 | 7 | 10 | 54-46 | 52 |
| 8.ჰოფენჰაიმი | 32 | 13 | 12 | 7 | 68-47 | 51 |
| 9.ვერდერი | 32 | 12 | 11 | 9 | 55-48 | 47 |
| 10.ფორტუნა | 32 | 12 | 5 | 15 | 45-61 | 41 |
| 11.ჰერტა | 32 | 10 | 10 | 12 | 44-49 | 40 |
| 12.მაინცი | 32 | 10 | 7 | 15 | 40-55 | 37 |
| 13.ფრაიბურგი | 32 | 7 | 12 | 13 | 41-57 | 33 |
| 14.აუგსბურგი | 32 | 8 | 8 | 16 | 47-59 | 32 |
| 15.შალკე | 32 | 8 | 7 | 17 | 36-54 | 31 |
| 16.შტუტგარტი | 32 | 6 | 6 | 20 | 29-70 | 24 |
| 17.ნიურნბერგი | 32 | 3 | 10 | 19 | 25-59 | 19 |
| 18.ჰანოვერი | 32 | 4 | 6 | 22 | 27-69 | 18 |

### იტალია

| | | | |
|---|---|---|---|
| 11.05 ატალანტა-ჯენოა | 1.52 | 4.20 | 6.50 |
| 11.05 კალიარი-ლაციო | 3.60 | 3.45 | 2.08 |
| 11.05 ფიორენტინა-მილანი | 2.85 | 3.30 | 2.54 |
| 12.05 ტორინო-სასუოლო | 1.57 | 4.10 | 6.00 |
| 12.05 სამპდორია-ემპოლი | 2.50 | 3.55 | 2.75 |
| 12.05 ფროზინონე-უდინეზე | 4.70 | 3.65 | 1.78 |
| 12.05 სპალი-ნაპოლი | 5.25 | 4.15 | 1.62 |
| 12.05 რომა-იუვენტუსი | 2.55 | 3.40 | 2.75 |
| 13.05 ბოლონია-პარმა | 1.81 | 3.10 | 5.75 |
| 13.05 ინტერი-კიევო | 1.16 | 8.00 | 16.50 |

**ატალანტა-ჯენოა**

ატალანტა: **ტრავმ**-მუსა ბაროუ, რაფაელ ტოლოი

ჯენოა: **ტრავმ**-ანდრეა ფავილი, ოსკარ ჰილიემარკი

**კალიარი-ლაციო**

კალიარი: **ტრავმ**-პაოლო ფარაგო, რაგნარ კლავანი

ლაციო: **ტრავმ**-სერგეი მილინკოვიჩ-სავიჩი, შტეფან რადუ, ვალონ ბერიშა, ჯორდან ლუკაკუ

**ფიორენტინა-მილანი**

ფიორენტინა: **ტრავმ**-მარკო პიაცა

მილანი: **ტრავმ**-დავიდე კალაბრია, ჯოკომო ბონავენტურა

**ტორინო-სასუოლო**

ტორინო: **ტრავმ**-კოფი ჯიჯი

სასუოლო: **ტრავმ**-ჯიანჯიაკომო მანანი

**სამპდორია-ემპოლი**

სამპდორია: **ტრავმ**-არავინ

ემპოლი: **ტრავმ**-დომენიკო მაიეტა, ლუკა ანტონელი, ანტონიო ლა გუმინა

**ფროზინონე-უდინეზე**

ფროზინონე: **ტრავმ**-არავინ

უდინეზე: **ტრავმ**-სეკო ფოფანა, ნიკოლას ოპოკუ, ვალონ ბეჰრამი, ანტონინ ბარაკი

**სპალი-ნაპოლი**

სპალი: **ტრავმ**-ლორენცო სიმიჩი

ნაპოლი: **ტრავმ**-ალანი, ნიკოლა მაკსიმოვიჩი, ამადუ დიავარა

**რომა-იუვენტუსი**

რომა: **ტრავმ**-დიეგო პეროტი, დანიელე დე როსი, დავიდე სანტონი

იუვენტუსი: **ტრავმ**-დანიელე რუგანი, ალექს სანდრო, როდრიგო ბენტანკური, პაულო დიბალა, სამი ხედირა

**ბოლონია-პარმა**

ბოლონია: **ტრავმ**-ფედერიკო მატიელო

პარმა: **ტრავმ**-ფაბიო ჩერავოლო, რიკარდო გალიოლო, ჯონათან ბიაბიანი, ალბერტო გრასი

**ინტერი-კიევო**

ინტერი: **ტრავმ**-მატიას ვეჩინო, სიმე ვრსალკო

კიევო: **ტრავმ**-ემანუელ ჯიაჩერინი, მატია ბანი, ფედერიკო ბარბა, მეჰდი ლერისი, ლუკა როზეტინი, ფილიპ ჯორჯევიჩი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 35 | 28 | 5 | 2 | 69-25 | 89 |
| 2.ნაპოლი | 35 | 22 | 7 | 6 | 66-31 | 73 |
| 3.ინტერი | 35 | 18 | 9 | 8 | 52-28 | 63 |
| 4.ატალანტა | 35 | 18 | 8 | 9 | 71-43 | 62 |
| 5.რომა | 35 | 16 | 11 | 8 | 62-47 | 59 |
| 6.მილანი | 35 | 16 | 11 | 8 | 49-34 | 59 |
| 7.ტორინო | 35 | 14 | 15 | 6 | 45-30 | 57 |
| 8.ლაციო | 35 | 16 | 7 | 12 | 50-39 | 55 |
| 9.სამპდორია | 35 | 14 | 7 | 14 | 57-49 | 49 |
| 10.სასუოლო | 35 | 9 | 15 | 11 | 50-54 | 42 |
| 11.სპალი | 35 | 11 | 9 | 15 | 39-48 | 42 |
| 12.ფიორენტინა | 35 | 8 | 16 | 11 | 47-43 | 40 |
| 13.კალიარი | 35 | 10 | 10 | 15 | 33-49 | 40 |
| 14.პარმა | 35 | 9 | 11 | 15 | 38-55 | 38 |
| 15.ბოლონია | 35 | 9 | 10 | 16 | 38-50 | 37 |
| 16.ჯენოა | 35 | 8 | 12 | 15 | 37-54 | 36 |
| 17.უდინეზე | 35 | 8 | 10 | 17 | 31-49 | 34 |
| 18.ემპოლი | 35 | 8 | 8 | 19 | 44-66 | 32 |
| 19.ფროზინონე | 35 | 5 | 9 | 21 | 28-64 | 24 |
| 20.კიევო | 35 | 2 | 12 | 21 | 25-73 | 15 |

შენიშვნა: კიევოს დაკლებული აქვს 3 ქულა

### საფრანგეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 11.05 ანჟე-პსჟ | 5.50 | 4.40 | 1.56 |
| 11.05 კაენი-რეიმსი | 2.55 | 3.00 | 3.10 |
| 11.05 ამიენი-ტულუზა | 2.40 | 3.00 | 3.35 |
| 11.05 ნიცა-ნანტი | 2.54 | 3.10 | 3.00 |
| 11.05 დიჟონი-სტრასბური | 2.10 | 3.30 | 3.70 |
| 11.05 ნიმი-მონაკო | 3.40 | 3.55 | 2.12 |
| 12.05 რენი-გენგამი | 1.97 | 3.55 | 3.85 |
| 12.05 ლილი-ბორდო | 1.43 | 4.80 | 7.00 |
| 12.05 მარსელი-ლიონი | 3.00 | 3.70 | 2.24 |

**ანჟე-პსჟ**

ანჟე: **ტრავმ**-რომან ტომასი, აბდულაიე ბამბა, კრისტიან ლოპესი

პსჟ: **ტრავმ**-კილიან მბაპე, ტილო კერერი, ტიაგო სილვა, ტომას მუნიე, ანდრე რაბიო, ლასანა დიარა

**კაენი-რეიმსი**

კაენი: **ტრავმ**-არავინ

რეიმსი: **ტრავმ**-პაბლო ჩავარია, გისლან კონანი

**ამიენი-ტულუზა**

ამიენი: **ტრავმ**-კვენტინ კორნე

ტულუზა: **ტრავმ**-კორენტინ ჟანი

**ნიცა-ნანტი**

ნიცა: **ტრავმ**-კრისტოფ ჟალე, რამი ვალტერი, ვილან ჩიპრიენი

ნანტი: **ტრავმ**-არავინ

**დიჟონი-სტრასბური**

დიჟონი: **ტრავმ**-მიშელ ალფონსი, ფლორენ ბალმო, ჯორდან მარიე, მეჰდი აბეიდი, ვალენტინ როსიე

სტრასბური: **ტრავმ**-პაბლო მარტინესი, კევინ ზოი, ჯერემი გრიმი, იდრის საადი

**ნიმი-მონაკო**

ნიმი: **ტრავმ**-რაშიდ ალიოუ, ლიოკ ლანდრე, მუსტაფა დიალო

მონაკო: **ტრავმ**-სტევან იოვეტიჩი, პიეტრო პელეგრი

**რენი-გენგამი**

რენი: **ტრავმ**-ბენჯამინ ანდრე, ლუდოვიკ ბაალი

გენგამი: **ტრავმ**-არავინ

**ლილი-ბორდო**

ლილი: **ტრავმ**-ხეკა

ბორდო: **ტრავმ**-იგორ ლევჩუკი, სამუელ კალუ, აურელინ ტოუამენი, ანდრეას კორნელიუსი

**მარსელი-ლიონი**

მარსელი: **ტრავმ**-ბოუნა სარი, ფლორიან ტაუვინი

ლიონი: **ტრავმ**-არავინ

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 35 | 27 | 4 | 4 | 98-31 | 85 |
| 2.ლილი | 35 | 20 | 9 | 6 | 61-30 | 69 |
| 3.ლიონი | 35 | 18 | 9 | 8 | 60-45 | 63 |
| 4.სტ.ეტიენი | 35 | 18 | 8 | 9 | 55-39 | 62 |
| 5.მარსელი | 35 | 16 | 7 | 12 | 54-47 | 55 |
| 6.მონპელიე | 35 | 14 | 13 | 8 | 51-40 | 55 |
| 7.ნიცა | 35 | 14 | 10 | 11 | 27-31 | 52 |
| 8.ნიმი | 35 | 14 | 7 | 14 | 52-53 | 49 |
| 9.რეიმსი | 35 | 11 | 16 | 8 | 33-38 | 49 |
| 10.სტრასბური | 35 | 10 | 16 | 9 | 56-44 | 46 |
| 11.ნანტი | 35 | 13 | 7 | 15 | 46-45 | 46 |
| 12.ანჟე | 35 | 10 | 15 | 10 | 42-41 | 45 |
| 13.რენი | 35 | 11 | 12 | 12 | 49-50 | 45 |
| 14.ბორდო | 35 | 9 | 11 | 15 | 33-40 | 38 |
| 15.ტულუზა | 35 | 8 | 13 | 14 | 32-50 | 37 |
| 16.ამიენი | 35 | 8 | 10 | 17 | 29-49 | 34 |
| 17.მონაკო | 35 | 7 | 12 | 16 | 36-54 | 33 |
| 18.კაენი | 35 | 6 | 12 | 17 | 26-47 | 30 |
| 19.დიჟონი | 35 | 7 | 7 | 21 | 27-54 | 28 |
| 20.გენგამი | 35 | 5 | 10 | 20 | 24-63 | 25 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

2019, 11 — 12 მაისი, №110

# კახი კახიაშვილი ძალოსნობის ევროპის ფედერაციის პრეზიდენტობას აპირებს



ძალოსნობის ეროვნული ფედერაციაში აღმასკომის სხდომა გაიმართა. ძალოსნობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა კახი კახიაშვილმა აღმასკომის წევრებს განსახილველად 6 საკითხი წარუდგინა.

კახი კახიაშვილმა აღმასკომის წევრების წინაშე კიდევ ერთხელ გაიხსენა თათია ლორთქიფანიძის ბათუმის ევროპის ჩემპიონატზე ნაკრებში არდაყენების საკითხი, რის შემდეგაც აღმასკომის წევრების წინაშე თემურ ჯანჯღავაც წარდგა.

ქალთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა უარყო მის მიმართ გაჟღერებული ბრალდებები (სექსუალური ძალადობა) და დამსწრეთ ლორთქიფანიძის მხრიდან დაწყებული პრობლემების შესახებ უამბო, რომლის მიხედვითაც, თათია მუდმივად აცდენდა ნაკრების შეკრებებს.

აღმასკომის ყველა წევრი ერთსულოვანი იყო და თემურ ჯანჯღავას გადაწყვეტილებებს მხარი ერთხმად დაუჭირეს. აღმასკომმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ფედერაციის ხელმძღვანელობა ინტენსიურ რეჟიმში გაესაუბრება დაპირისპირებულ მხარეებს.

რაც შეეხება თათია ლორთქიფანიძის ნაკრებში დარჩენის საკითხს, სხდომის გადაწყვეტილებით, იმ შემთხვევაში, თუ ლორთქიფანიძე დაიცავს დისციპლინას და შეკრებებზე გამოცხადდება, მას კვლავ ექნება ჩემპიონატებზე გამოსვლის უფლება.

დღის წესრიგში ასევე იყო საქართველოში 2019 წელს მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის საკითხი. აღმასკომის წევრთა გადაწყვეტილებით, ფედერაცია თანახმაა, მიიღოს და მაღალ დონეზე უმასპინძლოს სალიცენზიო მსოფლიო ჩემპიონატს.

დღის წესრიგით განიხილეს მსოფლიოს საუკეთესო ძალოსნების ლაშა ტალახაძისა და ლიდია ვალენტინის დაჯილდოების ცერემონიის გამართვის საკითხიც, რომელსაც 20 მაისს ქობულეთი უმასპინძლებს.

აღსანიშნავია, რომ ღონისძიებას ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი ტომაშ აიანი დაესწრება და სწორედ ქობულეთში განიხილება საქართველოში მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის საკითხიც.

კიდევ ერთი თემა ევროპის ფედერაციის პოსტზე საქართველოს ძალოსნობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტ კახი კახიაშვილის კანდიდატურის წარდგენას ეხებოდა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დამსწრეთ წარედგინა სამი ვარიანტი:

1. ევროპის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე კანდიდატურის დაყენება და გამარჯვების შემთხვევაში საქართველოს ფედერაციის პოსტის შენარჩუნება;

2. ევროპის ფედერაციის პოსტზე კანდიდატურის დაყენება და საქართველოს ეროვნული ფედერაციიდან წასვლა;

3. ევროპის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე კანდიდატურის დაყენებაზე უარის თქმა და საქართველოს ფედერაციის პრეზიდენტის პოსტის შენარჩუნება;

აღმასკომის გადაწყვეტილებით, კახიაშვილმა ევროპის ფედერაციის პრეზიდენტობაზე განაცხადი უნდა წარადგინოს და, ამავდროულად, საქართველოს ფედერაციის ხელმძღვანელის პოსტზე მუშაობა გააგრძელოს.

**მიხეილ ფორჩხიძიანი**

# ამწეკრანის მემანქანემ ცეცხლმოდებული სახლიდან ხალხი გადაარჩინა

ჩინეთის ლიაონინის პროვინციის ქალაქ ფუშუნში ამწეკრანის მემანქანემ 14 ადამიანი გადაარჩინა, რომლებიც ცეცხლმოდებული მრავალსართულიანი სახლიდან თავის დაღწევას ვერ ახერხებდნენ.

ხანძარი იმ მშენებლობის გვერდით მდებარე სახლში დაიწყო, სადაც 19 წლის ლან ცზიუნცზე მუშაობდა. ხანძარი პირველ სართულზე მდებარე მაღაზიას მოედო და შემდეგ სწრაფად გავრცელდა სახლის სართულებზე. ახალგაზრდა მამაკაცმა ამწეკრანი ალმოდებული სახლისკენ მიმართა და ნახევარი საათის განმავლობაში მისი დახმარებით ისარზე დამაგრებული კალათის გამოყენებით ხალხს ბინების ფანჯრებიდან ხსნიდა.

თავად ცზიუნცზის თქმით, ის მუშაობას იმის მიუხედავად აგრძელებდა, რომ ირგვლივ აფეთქებების ხმა ისმოდა.

— მე მთელი ყურადღება ადამიანების გადარჩენაზე მქონდა გადატანილი და სხვა პრობლემებზე არც კი ვფიქრობდი, — განმარტა ახალგაზრდამ, — ხოლო როდესაც მოგვიანებით ჩემი მისამართით ქების სიტყვები მესმოდა, სიამაყემ შემიპყრო. ვფიქრობ, რომ ძალიან კარგად მოვიქეცი.



# მეგობართან სტუმრად მისულს თავს გველი დაესხა

ამერიკის ოკლაჰომას შტატის ქალაქ ლოტონში მამაკაცი მეგობარს ესტუმრა და მისი სახლის ზღურბლთან მას გველი დაესხა თავს. ამ შემთხვევის ამსახველი, სათვალთვალო ვიდეოკამერის მიერ გადაღებული ვიდეო ერთ-ერთმა ადგილობრივმა ტელეარხმა გამოაქვეყნა.




ინციდენტი რამდენიმე დღის წინ მოხდა, როდესაც ჯერელ ჰეივუდი მეგობარ როდნი კოუპლენდის სანახავად მივიდა. კადრებში ჩანს, თუ როგორ აღებს შესასვლელ კარს მამაკაცი და ამ დროს გველი მას მარჯვენა თვალის არეში კბენს. ის ბინაში თვალზე ხელაფარებული ყვირილით შერბის.

კოუპლენდის მეუღლემ შიშისგან შეყვირა. ხმაურზე ჩაქუჩ მომარჯვებულმა მეზობელმა მოირბინა და მეტრნახევარი სიგრძის ქვეწარმავალი მოკლა. ჰეივუდი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც ის გულდასმით გასინჯეს. საბედნიეროდ გველი შხამიანი არ გამოდგა. პროფილაქტიკის მიზნით მამაკაცს ანტიბიოტიკები გამოუწერეს.

# მარტორქასთან ვოლიერში შესული ქალი ცოცხალი გადარჩა

მექსიკის ნუევო-ლეონის შტატის ქალაქ გვადალუპეში ქალს მობილური ტელეფონი მარტორქის ვოლიერში გადაუვარდა და მის დასაბრუნებლად ღობეზე გადაძვრა. ამის ამსახველი



ვიდეო ზოოპარკის თანამშრომელმა გადაიღო, ხოლო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ინციდენტი ზოოპარკ ლა პასტორაში მოხდა, რომელიც ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. ვიდეორგოლში ჩანს, თუ როგორ ძვრება ქვის ღობეზე ქალი, რომელსაც ტელეფონი გადაუვარდა, მარტორქის ვოლიერში. ცხოველი მისგან სულ რამდენიმე მეტრში დგას.

მარტორქა ქალს თავს არ დასხმია და მან დაუშავებლად მოახერხა ვოლიერიდან თავის დაღწევა. თუმცა ზოოპარკის ადმინისტრაციის ცნობით, ქალმა უსაფრთხოების წესები დაარღვია და ამის გამო მას ზოოპარკში შესვლა საერთოდ აეკრძალა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ასტროპროგნოზი

## 11 მაისისთვის



**ვერძი** — კოლექტიური მუშაობა სასურველ შედეგს გამოიღებს. ძველი, დავიწყებული კავშირების აღდგენა დღეს აუცილებელია. **კურო** — გელით საინტერესო მოგზაურობა, ახალი ნაცნობობა. სასიამოვნო შეგრძნებებით დატვირთული დღეა. **ტყუპები** — მოვლენებს ნუ დააჩქარებთ. მოსახდენი მაინც მოსდება. დაკმაყოფილდით იმით, რაც გაქვთ. **კირჩხიბი** — შემოქმედებითი პოტენციალი მზარდია. იყავით გულწრფელი და გახსნილი. **ლომი** — ჯანმრთელობის მდგომარეობა ყურადღებას მოითხოვს. საჭიროების შემთხვევაში ექიმთან ვიზიტს ნუ გადადებთ. **ქალწული** — დღეს საოცრად იოლად მიიღებთ იმას, რაც გსურთ. მოსალოდნელია ფინანსური კეთილდღეობა. **სასწორი** — ერთობლივი მუშაობა გაამართლებს. საოჯახო საქმეების მოსაწესრიგებლად იდეალური დღეა. **მორიელი** — პლანეტები გმფარველობენ. მშვიდად ხართ. ოჯახის წევრებთან ურთიერთობისას მეტი სიდინჯე და დაფიქრება გმართებთ. **მშვილდოსანი** — დაისვენეთ აქტიურად. დღევანდელი დღე უამრავი სასიამოვნო წუთით იქნება გაჯერებული. **თხის რქა** — სასიცოცხლო პოტენციალი თანდათან ქვეითდება. ნებისმიერი თქვენი მოქმედება შესაძლოა თქვენ წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული. წინდახედულობა დღის დევიზია. **მერწყული** — საკუთარ ინტერესებს ნუ უგულებელყოფთ. მოთმინებით აღიჭურვეთ და მიზანს აუცილებლად მიაღწევთ. **თევზები** — სახიფათო დღეა. ცრუ ინფორმაციას მიიღებთ. დაიმახსოვრეთ: ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობია.

## 12 მაისისთვის

**ვერძი** — საეჭვო ნაცნობებს ერიდეთ. ფინანსური კუთხით ზარალია მოსალოდნელი. **კურო** — ემოციურად დაძაბული დღეა. მიზნისკენ სწრაფვაში დაბრკოლებები იჩენს თავს. **ტყუპები** — დაბნეული ხართ, რაც შეცდომის დაშვების რისკს ზრდის. ნებისყოფა მოიკრიბეთ და სიტუაცია საღად შეაფასეთ. **კირჩხიბი** — სამსახურში პრობლემები გელით. ხელმძღვანელობასთან კონფლიქტი მწიფდება. ემოციებს ნუ აჰყვებით. **ლომი** — საკუთარ თავზე ბევრს ნუ აიღებთ. მხოლოდ ის მოვალეობა შეასრულეთ, რომელიც უშუალოდ გეკისრებათ. **ქალწული** — პროვოკაციული დღეა. ინტრიგებში ნუ ჩაერთვებით. თქვენი საქმე თავმდაბლად აკეთეთ. **სასწორი** — ახალ ინფორმაციას ნუ მიენდობით. გადაწყვეტილების მიღებამდე კარგად დაფიქრდით. **ღრიანკალი** — ნებისმიერი საქმიანი შემოთავაზება მისაღებია. მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. **მშვილდოსანი** — ემოციური დაძაბულობის გამო, შესაძლოა, შეცდომა დაუშვათ. დაბრკოლებებს ნუ შეუშინდებით. **თხის რქა** — ჯანმრთელობას სერიოზულად მიხედეთ. მოსალოდნელია ქრონიკული დაავადებების გამწვავება. **მერწყული** — სასიცოცხლო ძალები გემატებათ. იზრდება თქვენი პიროვნული მომხიბვლელობა. გიმართლებთ. **თევზები** — პირადი ცხოვრება დროებით უკანა პლანზე გადადეთ. მთელი დრო და ენერგია საქმეს მოახმარეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ტრაგედია „ჰამლეტის“ პერსონაჟი; 2. ბანქოს თამასის ერთ-ერთი სახეობა; 3. გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი სიტყვა; 4. მსუბუქი ავტომობილის ძარის ტიპი; 5. ზღვაში მოპოვებული მოწითალო ფერის ძვირფასი ქვა; 6. რაიმეს გარდაქმნა, შეცვლა; 11. კონკურსანტთა შემფასებელი სპეციალისტთა ჯგუფი; 13. საკურთხევლის ტახტი ეკლესიაში; 14. მოძღვრება ხეხილის ჯიშების შესახებ; 15. სახელმწიფო ბალკანეთის ნახევარკუნძულზე; 17. რომის პაპის დიპლომატიური წარმომადგენელი; 18. კაზინოს თანამშრომელი; 19. მდინარე პარიზში.

**თარაზულად:** 7. პირუტყვით მოვაჭრე ძველად საქართველოში; 8. თურქეთის ფეხბურთელთა გუნდი; 9. განძი, ძვირფასი ნივთები, ფასეულობა; 10. აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი; 12. ცხენზე მოჯირითე აკრობატი ცირკში; 14. გეომეტრიული ფიგურა; 16. ფილატელისტის ალბომი; 18. ოფიციალური ცნობა საერთაშორისო მოლაპარაკებისა და შედეგების შესახებ. 20. დაბალყელიანი ფეხსაცმელი; 21. ქვის ბოძებზე დადგმული ფიცრული სახლი დასავლეთ საქართველოში; 22. სამეფო რეზიდენცია მადრიდში; 23. დემონი არაბულ ფოლკლორში; 24. ქალაქი იმერეთში.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. არიფანი; 2. ტალახაძე; 3. ბითაძე; 4. ტუსკი; 5. პარფორსი; 8. გენოციდი; 12. დაბა; 13. ეკოლოგია; 14. ევროპა; 16. ტარიელი; 18. ზურნა; 20. მომა.

**თარაზულად**: 6. პრელუდია; 7. უტინოურა; 8. გელათი; 9. რაბლე; 10. ბაზალეთი; 11. უორდროპი; 15. აკრედიტივი; 17. ლაზიკა; 19. პრიმატორი; 21. აგუძერა; 22. სატურაცია; 23. მარტენი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. პალერმო; 2. თხემი; 3. პარანოია; 4. სავანა; 5. ვერსაჩე; 6. სახიობა; 11. შაორი; 13. ოპერეტა; 14. ბონისტიკა; 15. დინოზავრი; 17. იადონი; 18. პლანკი; 19. თორა.

**თარაზულად**: 7. შალახო; 8. ნაცარქექია; 9. მერიმე; 10. კარაკასი; 12. მონოგრაფია; 14. ბლენდა; 16. ნიველირი; 18. პანსიონი; 20. საქსი; 21. გზა; 22. კოსტიოლი; 23. შოვი; 24. კარალიოკი.

# აწყურის ღვთისმშობლის ტაძრის რესტავრაციაზე 12.5 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება

აწყურის ღვთისმშობლის ტაძარზე სარესტავრაციო სამუშაოები მიმდინარეობს. იგი უძველესი ტაძრების ხუთეულში შედის. 42 მეტრის სიმაღლის ტაძრის რესტავრაცია სამი წლის წინ დაიწყო. უკვე ამოყვანილია კედლები, ახლო მომავალში დაიწყება გუმბათის დაშენება. აღდგენილ ტაძარზე უძველესი დეტალები მაქსიმალურად შენარჩუნდება.

ტაძრის სარესტავრაციო სამუშაოებისთვის ფონდი „ქართუ“ 12.5 მილიონ ლარზე მეტს დახარჯავს.

აწყური პირველ საუკუნეშივე იქცა რელიგიურ ცენტრად. აქ ანდრია პირველწოდებულმა სასწაულები მოახდინა, რის შემდეგაც მოინათლა მხარის მოსახლეობა. ტაძრის დღევანდელი ნაშთები აგებული უნდა იყოს X-XI საუკუნეებში. აქ დიდი ხნის განმავლობაში იყო დაბრძანებული აწყურის სასწაულთმოქმედი ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი.

ისტორიული ძეგლების აღდგენა-რესტავრაციას ფონდი „ქართუ“ დაარსებიდან ახორციელებს. „ქართუს“ მიერ 900-ზე მეტი კულტურული და ისტორიული ძეგლი და ეკლესიაა რესტავრირებული.



მიმდინარე წელს ძეგლების აღსადგენად 20 მილიონი ლარი დაიხარჯება. აქედან მხოლოდ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში – 6 მილიონი ლარი. რეგიონში უკვე აღდგენილია 40-მდე ისტორიული ძეგლი. მათ შორისაა ვარძიის რეაბილიტაციის პროექტი, რომლის ფარგლებშიც აღდგა გრუნტით დაფარული გამოქვაბულები და სამონასტრო კომპლექსი 20%-ით გაიზარდა.

# „შვიდკაცასთვის“ ჩოხების ტარების უფლების ჩამორთმევას ითხოვენ



– ანსამბლ „შვიდკაცას“ ჩოხების ტარების უფლება აღარ აქვს, – ამ განცხადებას ლია რუსიაშვილი აკეთებს და მას საზოგადოების გარკვეული ნაწილიც ეთანხმება. ამ განცხადების გაკეთების მიზეზი კი 17 მაისს საპატრიარქოს მიერ ორგანიზებულ გალაკონცერტში მონაწილეობაზე უარის თქმა გახდა:

– „შვიდკაცას“ წევრებს მორალური უფლება აღარ აქვთ ჩოხის ტარებისა! ვურჩევთ, რომ იფიქრონ სხვა ფორმის ჩაცმაზე, ვთქვათ, შორტებზე და შვიდფერა მაისურზე.

თუმცა, აქ ვინღა მოუსმენს მათ სიმღერას, საკითხავი ესეცაა... სავარაუდოდ, აწი რიო-დე-ჟანეიროს კარნავალზე თუ იმღერებენ“.

პ.ს. ანსამბლ „შვიდკაცას“ 17 მაისს კონცერტი ქუთაისში ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრში აქვს დაგეგმილი.

# მამუკა ლომაშვილი: „დავითგარეჯის თემა გავიარეთ უკვე?“



კითხულობს პაროდისტი და რეჟისორი მამუკა ლომაშვილი და საკუთარი თანამემამულეების ღლიცინით გაკვირვებულია:

– დავითგარეჯის თემა გავიარეთ უკვე ფეისბუკზე? რა ხდება? მოვიოხეთ გული და თითები ვიფხანეთ!

აი, ესა ვართ, მოღლიცინე ხალხი, დავითგარეჯს გვახევენ, ჩვენ კიდევ აღდგომას საფლავზე გასვლასა და სმა-ჭამაზე ვღლიცინებთ! ვინმემ გაგვცა პასუხი? პრემიერმა ან პრეზიდენტმა? საგარეო საქმეთა სამინისტრომ? მივეცით? გვკიდია?

თქვენ შემოგევლეთ, რესტორნებში ერთიანი საქართველოს სადღეგრძელო არ დაგავიწყდეთ! ერთი კაცის აქციას მაინც მოვაწყობ, სხვა არაფერი შემიძლია!

# მოძრაობის თეატრში „ფაუსტის“ პრემიერა გაიმართება

გოეთეს „ფაუსტის“ პრემიერა მოძრაობის თეატრში გაიმართება.

ეს არის ეშმაკის მუდმივი ჭიდილი ადამიანის ცდუნებისათვის. უფალი ნებას რთავს მეფისტოფელს, ნებისმიერი ცდუნებით გამოცადოს ფაუსტი და ჩაიყვანოს უფსკრულში.

სპექტაკლში გამოყენებულია მიმოდრამის, ბუტოს სტილისა და საჰაერო აკრობატიკის ერთობლიობა. სპექტაკლის რეჟისორი თეატრის დამაარსებელი კახა ბაკურაძეა, კომპოზიტორი კი – სანდრო ნიკოლაძე.




# მთაწმინდაზე ფიროსმანის სიმბოლური საფლავი შელახულია



მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში მხატვარ ნიკო ფიროსმანაშვილის – ნიკალას სიმბოლური საფლავია, რომელიც შელახულია. ინფორმაცია და ფოტო ირაკლი ორაგველიძემ გაავრცელა:

– ფიროსმანის გარდაცვალებიდან 101 წელი შესრულდა.

პანთეონში სტალინის დედის უკან, კუთხეში დგას შელახული დაფა. ამაზე მეტს არ იმსახურებს?

# „კომედი არხი“ ყველა საკაბელო ქსელში დაბრუნდა

„კომედი არხი“ ყველა საკაბელო ქსელში დაბრუნდა და თავის ერთგულ მაყურებელს დიდი სიხარული აჩუქა.

„კომედი არხი“, რომელიც სხვადასხვა იუმორისტულ გადაცემას აერთიანებდა, გარკვეული პერიოდის განმავლობაში ყველა საკაბელო ქსელში მიუწვდომელი იყო.

ამიერიდან კი „კომედი არხის“ გადაცემების ყურება საკაბელო ქსელების ყველა მაყურებელს შეეძლება.




# სამგლოვიარო განცხადებები



მეგობრები და კოლეგები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა კავშირგაბმულობის სისტემის ღვაწლმოსილი მუშაკი

**ნუგზარ კვიკვინია**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ბატონი ნუგზარი იყო შესანიშნავი მეგობარი, ერთგული მეუღლე და მეოჯახე, სითბოთი, სიყვარულით სავსე მამა.

კავშირგაბმულობის სისტემაში მუშაობდა 50 წლის განმავლობაში, კოლეგებსა და მეგობრებს შორის გამოირჩეოდა ჭირსა და ლხინში გვერდში დგომით.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ბატონი ნუგზარის სული და სასუფეველი დაუმკვიდროს ცათა შინა!

**ფრიდონ ინჯია, ილია ინჯია, ხათუნა ინჯია, ავთანდილ იაშვილი, ვახტანგ თოდუა, თეიმურაზ ბერიშვილი, რემი გველესიანი, დემურ ინჯია, ლევან ინჯია, ნანა შარაშენიძე, იზოლდა გოცირიძე, სვეტლანა ელბაქიძე, თეიმურაზ ღოღობერიძე, ტარიელ იაშვილი, კოტე სამუშია, ზურაბ ზუმბაძე, ავთანდილ დარახველიძე, თეიმურაზ ცხვარიაშვილი, ზაზა ბურჯანაძე, ნუგზარ ბენდიაშვილი, ვახტანგ ამაშუკელი, თეიმურაზ ჭაჭიაშვილი, ზურაბ ჯაფარიძე, ნოდარ დევიძე, თემურ სურმავა, თემურ ქუტოშვილი, მერაბ თოხაძე, ჯანო გეგეჭკორი**

ღრმა მწუხარებას გამოვხატავ ახლო მეგობრის

**ნუგზარ კვიკვინიას**

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას ვუცხადებ განსვენებულის ოჯახს.

**გურამ კვიკვინია**



მეუღლე ილია (ქუჩუკი) მიჩილაშვილი, შვილები მაიკო, ზაზა მიჩილაშვილები, შვილიშვილები მია, გიორგი მიჩილაშვილები, საბა, დეა, კონსტანტინე აფხაზები, და დალი ფირცხალაიშვილი ოჯახით, რძალი ნინიკო კილასონია, სიძე დავით აფხაზი, ძმისცოლი ქეთევან ჩიკაშუა-ფირცხალაიშვილი ოჯახით, მულები ცისანა, მზია მიჩილაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ეთერ ფირცხალაიშვილი**

პანაშვიდი: 12, 13 მაისს;
დაკრძალვა: 14 მაისს, 14 საათზე;
მისამართი: ვაჟა-ფშაველას 54, I სადარბაზო, ბინა 11.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# გიორგი კეკელიძე: „მოუარეთ საკუთარ სოფელსა და მის ბიბლიოთეკას!“



ასე მიმართავს მუნიციპალიტეტებსა და ბიზნესმენებს ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი გიორგი კეკელიძე:

– ეს გზავნილი საზეიმო – არა, საქმიანია და მუნიციპალიტეტებისა და ბიზნესმენებისკენ მიმართული. მოდი, გამოვაცხადოთ ეს წელი ბიბლიოთეკარის წლად, სადღესასწაულოდ და საჯაროდ კი არა, თქვენს გულებში და ბიუჯეტებში. მოუარეთ საკუთარ სოფელსა და მის ბიბლიოთეკას, უყიდეთ ერთი კომპიუტერი, 100 ახალი წიგნი და სამომავლო ბიუჯეტში მცირედით ხელფასიც მოუმატეთ.

და თქვენც, ძვირფასო ბიბლიოთეკარებო, ნუ შეგეშინდებათ, შეეხმიანეთ თქვენი სოფლიდან წასულ ბიზნესმენებს, თქვენი სოფლის წარმომადგენლებსა და რაიონის ხელმძღვანელებს. ამის გამო ვერავინ მოგხსნით და თუკი, მე ვიქნები თქვენი მთავარი ადვოკატი. ამოძრავდით, აკაკუნეთ და გააღეთ!

ჩვენს ქვეყანაში ეს ყველაზე დაუფასებელი პროფესიაა. მასწავლებელს კიდევ ეშველა ცოტა, ორი-სამი ჯილდო გაჩნდა და არაერთი სახელიც ითქვა საქვეყნოდ.

კი, ეროვნული ბიბლიოთეკა მოვლენების ცენტრშია და ზუსტად ვიცი, მას ჩემს მეგობრებთან ერთად საუკეთესო და საამაყო სივრცედ ვაქცევთ. მალე ლეგენდარული პირველი კორპუსის რეაბილიტაცია დაიწყება. სხვა მრავალიც. თბილისის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკებიც საიმედო ხელში მოჩანს. მაგრამ მხოლოდ ეროვნული ბიბლიოთეკა ხომ არ არის.

სოფლის ბიბლიოთეკებია უმთავრესი სამიზნე, მულტიფუნქციურ მედიათეკებად, კულტურულ-საგანმანათლებლო და საინფორმაციო ცენტრებად მათი ქცევაა მიზანი.

ჩვენ ვეცადეთ, ეს ხალხი და სივრცეები, სადაც წლებია მუშაობენ, უფრო ახლობელი გაგვეხადა თქვენთვის. ათასამდე სოფელი მოვიარეთ აქამდე, აღვადგინეთ და განვაახლეთ, წიგნი და კომპიუტერი ჩავიტანეთ, უამრავი ბიბლიოთეკარი გადავამზადეთ. წინ უფრო მეტია და ვიზამთ. მაგრამ, მხოლოდ ეს არ ჰყოფნით. მათი ხელფასები ცინიკურია და აუცილებლად გასაზრდელი.

# ევროვიზიის ფინალური ტურის ტრანსლაციას ნოდიკო ტატიშვილი, ელენე კალანდაძე და გაგა აბაშიძე გაუძღვებიან

საქართველოს პირველ არხზე ევროვიზიის სიმღერის 2019 წლის კონკურსის ფინალური ტურის ტრანსლაციას გადაცემა „ახალი დღის“ წამყვანებთან ელენე კალანდაძესა და გაგა აბაშიძესთან ერთად მომღერალი ნოდიკო ტატიშვილიც გაუძღვება.




ნოდიკო ტატიშვილი მას შემდეგ დაიკავებს პირდაპირ ეთერს, როდესაც გაგა აბაშიძე საქართველოს ოფიციალური ჟიურის მიერ დაწერილი ქულების პირდაპირ ეთერში გამოცხადებას დაიწყებს.

ნოდიკო ტატიშვილი ევროვიზიის სიმღერის 2013 წლის კონკურსზე სოფო გელოვანთან ერთად საქართველოს წარმომადგენელი იყო. ნოდიკოსა და სოფოს მიერ შესრულებულმა სიმღერამ ფინალურ ტურში მეთხუთმეტე ადგილი დაიკავა. ამავე წელს საქართველომ აკრედიტებული მედიისა და პრესის გამარჯვებულის ტიტული მოიპოვა.

წლევანდელი ევროვიზიის სიმღერის კონკურსს თელ-ავივი მასპინძლობს. სამდღიან მუსიკალურ ფესტივალში 41 ქვეყანა მონაწილეობს. საქართველოს ევროფესტივალზე ოთო ნემსაძე სიმღერით „სულ წინ იარე“ წარადგენს.

კონკურსის ნახევარფინალური შოუების ტრანსლაცია საქართველოს პირველი არხის ეთერში 14 და 16 მაისს, ხოლო გრანდიოზული ფინალი 18 მაისს გაიმართება.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

11 მაისისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.7384 | ევრო — 3.0665 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5627 | 100 რუსული რუბლი — 4.1957 |

## ამინდის პროგნოზი 11 მაისისთვის





## „ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

## „მე მიყვარს კითხვა“

14 მაისიდან

**ქართული მითები**

ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი







3 მაისიდან

ლევ ტოლსტოი
**ომი და მშვიდობა**
ტომი III

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

10 მაისიდან

ლევ ტოლსტოი
**ომი და მშვიდობა**
ტომი IV

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი





## ბარსელონა რაკიტიჩს ინტერში უშვებს



ბარსელონა ზაფხულში დიდ ცვლილებებს გეგმავს და გუნდს რამდენიმე ფეხბურთელის ყიდვა აქვს გადაწყვეტილი. ასევე ცნობილია, რომ არიან ფეხბურთელები, ვინც გუნდს დატოვებს. ერთ-ერთი ასეთი მათგანი ივან რაკიტიჩია, რომელიც კარიერას ინტერში გააგრძელებს. ინტერი ამ ტრანსფერში 70 მილიონ ევროს გადაიხდის.

რაკიტიჩს ბარსელონას ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა დაეძაბა, რადგან ლივერპულთან წაგების მეორე დღეს რაკიტიჩი სევილიაში ერთ-ერთ ფესტივალზე დააფიქსირეს, სადაც ის იღიმებოდა და სურათებს იღებდა სევილიელ ფეხბურთელებთან.

## ჰარი კეინი: „ფინალში თამაში შემიძლია“



ტოტენჰემის ცენტრალურმა თავდამსხმელმა ჰარი კეინმა ჩემპიონთა ლიგის ფინალზე ისაუბრა და თქვა, რომ მას ფინალამდე გამოჯანმრთელება შეუძლია. ამჟამად კეინს მხარი აქვს დაზიანებული, რის გამოც ის თავის გუნდს ვერ ეხმარება:

— ბიჭების თამაშით აღფრთოვანებული ვარ. მათ თითქმის შეუძლებელი შეძლეს და ჩვენ ფინალში ვართ, რაც ძალიან დიდი წარმატებაა. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ გამოვჯანმრთელდე და ფინალში თამაში შევძლო.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

— აბა, როგორაა სამსახურში საქმე?

— დირექტორი შვებულებაში გავიდა და მთელი კოლექტივი ვისვენებთ.

●●●

ქალიშვილი დედას ეუბნება:

— დედიკო, ჩემ დასანიშნად რომ მოვლენ, უბრალოდ, თანხმობა უთხარი, ფეხებში ნუ ჩაუვარდები და ცრემლიანი თვალებით ნუ შეჰღაღადებ: „ჩვენო გადამრჩენლებო, როგორც იქნა, თქვენს მოსვლას ველირსეთ!!!“

●●●

კლასში საკონტროლო წერის დროს, გივი გიგის გადაუჩურჩულებს:

— ჩვენ ახალ მასწავლებელს მაგარი უკანალი აქვს.

მასწავლებელი დაინახავს და გივის შენიშვნას აძლევს:

— გივი, გიგის ნუ კარნახობ, თვითონაც ყველაფერი კარგად იცის.

●●●

ტელეფონი რეკავს. ყურმილის ასაღებად მისულ უფროს ძმას უმცროსი ეუბნება:

— თუ ანი, ქეთი ან მარი იქნება, უთხარი, რომ სახლში არ ვარ, ხოლო თუ თეა, ან ლალი, მაშინ სახლში ვარ...

ძმამ ყურმილი აიღო და მცირე პაუზის შემდეგ ეუბნება:

— ვენეროლოგია.

●●●

მამაკაცი ტაქსის გამოძახების სერვისში რეკავს და აღშფოთებული ეუბნება დისპეტჩერ გოგონას:

— ტაქსი შეგიკვეთეთ იმისთვის, რომ აეროპორტში დროზე მივსულიყავი! თქვენ დამპირდით, მაგრამ მანქანა აქამდე არ ჩანს.

— ძალიან ვწუხვართ, მაგრამ თავისუფალი მანქანა არ მოიძებნა. შევეცდებით, საქმე სწრაფად გამოვასწოროთ. ამას გულთან ახლოს ნუ მიიტანთ. ჩვენს დროში თვითმფრინავი ზუსტად განრიგის მიხედვით იშვიათად მიფრინავს!

— დღეს ის თვითმფრინავი განრიგის მიხედვით ნამდვილად ვერ გაფრინდება, რადგან მისი პილოტი მე ვარ!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ნოე სულაბერიძე: „ჯანეტა დედაჩემის გზავნილია“

„პრაიმ შოუს“ წამყვანი ნოე სულაბერიძე თავის მეუღლე ჯანეტ ქერდიყოშვილს დედის, კომპოზიტორ ლილი შავერზაშვილის გზავნილად მიიჩნევს. ნოეს დედა გასულ წელს გარდაეცვალა, წელს კი ნამდვილი სიყვარული იპოვა.

ნოესა და ჯანეტს „პრაიმ შოუმ“ სპეციალური გადაცემა მიუძღვნა:



— ბოლო ოთხშაბათის გადაცემაზე განსაკუთრებულად ვნერვიულობდი. მეგობრების დაჟინებული რჩევა რომ არა, სიმართლე გითხრათ, მეუხერხულებოდა პირადის ისტორიის მცირე ნაწილისაც კი საჯაროდ გამოტანა, თუმცა ეს ნაბიჯი მაინც გადაიდგა.

მესამე დღეა, ვკითხულობთ თქვენს კომენტარებს. ასეთი დოზით პოზიტიურმა განწყობამ ყველანაირ მოლოდინს გადააჭარბა და ამისთვის თითოეულ თქვენგანს მინდა გითხრათ ერთი დიდი მადლობა!

ამბობენ, ადამიანებს ჭირში გაიცნობო. პირადი დაკვირვებით მინდა გითხრათ, რომ ლხინში მეტად თუ არა, ნაკლებადაც არ იფილტრება ადამიანი. ასეთ დროს თქვენ მიერ მოწერილი ყოველი კეთილი სიტყვა განსაკუთრებულია.

შარშან ძალიან ცუდი წელიწადი მქონდა და ხანდახან მგონია, რომ ჯანეტა დედაჩემის გზავნილია. ამას რომ ვაცნობიერებ, კიდევ უფრო მეტად ვგრძნობ, თუ როგორ უნდა გავუფრთხილდეთ იმას, რაც ასე ძვირფასია ჩვენთვის.

მათ, ვისაც ნაპოვნი გყავთ თქვენი ცხოვრების თანამგზავრი, სიბერემდე ბედნიერებას გისურვებთ. მათ, ვისაც ჯერ არა, მალე გეპოვოთ და იგივე ემოციები გენახოთ, რაც ჩვენ გვხვდა წილად.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## იაია ტურემ საფეხბურთო კარიერა დაასრულა



კოტ დივუარელმა ფეხბურთელმა იაია ტურემ საფეხბურთო კარიერა 35 წლის ასაკში დაასრულა. ამის შესახებ ტურემ ოფიციალური განცხადება გააკეთა და ყველას მადლობა გადაუხადა გვერდში დგომისთვის.

ტურემ კარიერის მანძილზე ისეთ გუნდებში ითამაშა, როგორებიც ბარსელონა და მანჩესტერ სიტი არიან. სიტიში ტურემ 8 წელი გაატარა და გუნდთან ერთად სამჯერ მოიგო ინგლისის ჩემპიონატი. ტურეს ბოლო კლუბი ბერძნული ოლიმპიაკოსი იყო.

## იურგენ კლოპი: „ეს საოცარი კვირა იყო“



ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა განაცხადა, რომ ამ კვირაში ბევრი საოცრება მოხდა და შესაძლოა კიდევ ერთი სასწაული მოხდეს და ლივერპულმა ინგლისის ჩემპიონატი მოიგოს.

ამისთვის საჭიროა, რომ კვირას ლივერპულმა ვულვერჰემპტონი დაამარცხოს, მანჩესტერ სიტიმ კი სტუმრად ვერ მოუგოს ბრაიტონს.

— ეს საოცარი კვირა იყო და იმდენი სასწაული მოხდა, რომ კიდევ გვაქვს იმედი ჩემპიონობის, თუმცა ყველაფერი მანჩესტერ სიტის ხელშია, — განაცხადა კლოპმა.

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. რაიონული ცენტრი აჭარაში; 2. ტბა ნინოწმინდას რაიონში; 3. ძღვენი, საჩუქარი; 4. სევანის ტბის ძველი სახელწოდება; 5. ქართველი მოქანდაკე ოგიუსტ როდენის მოწაფე; 8. ესპანელი საოპერო მომღერალი მამაკაცი; 12. მდინარე კახეთში; 13. საერთაშორისო ხელშეკრულება; 14. პერუში მცხოვრები ინდიელთა ტომი; 16. სამრეწველო რაიონი პოლონეთში; 18. ბერძნული ანბანის ბოლო ასო; 20. ცხვრის ქონიანი კუდი.

**თარაზულად:** 6. თათარაში ამოვლებული ნიგვზის ან თხილის ასხმულა; 7. საზეიმო კონცერტის დასკვნითი ნაწილი; 8. ბრაზილიური არაყი; 9. მონასტერი ოჩამჩირეს რაიონში; 10. მოქმედების უნარის დაკარგვა, დამბლა; 11. ქართველი ნიჩბოსანი, ევროპის ჩემპიონი; 15. საავტომობილო საბურავების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 17. გენო ხოჯავას მხატვრული ფილმი; 19. ქართველი მხატვარი ქალი; 21. საგამოფენო შენობა; 22. რაიმე საქმის ზერელედ მცოდნე; 23. ორაზროვანი, გადაკრული სიტყვა.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**

